# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 3 ოქტომბერი 2005 №226 (2549) ფასი 50 თეთრი


# შოთა არველაძე: ნაკრებში არ მოვდივარ

შოთა არველაძე გუშინ ერთხელაც გამოირჩა — ჰოლანდიის ჩემპიონატში მისმა „ალკმაარმა“ „ნაიმეგენს“ 3:2 მოუგო და 2:2-ზე გადამწყვეტი გოლი არველაძემ შეაგდო — შოთა ახლა ათი გოლით ლიდერობს ბომბარდირთა ცხრილს, თუმც ეროვნულ ნაკრებში საყაზახეთო და სასაბერძნეთო შეკრებაზე არ ჩამოვა.

— ამას წინათ რუსული „სპორტ ექსპრესიდან“ დამირეკეს და მითხრეს, წამყვანი ევროპული გამოცემების გამოკითხვის შედეგად ევროპის სექტემბრის სიმბოლურ ნაკრებში შეგიყვანესო. მოკლედ, სასიამოვნო ამბავი მახარეს.

*— მალე ეროვნულ ნაკრებს 8 და 12 ოქტომბრის მატჩებისთვის შეკრება დაეწყება. ითქვა, შოთა შესაძლოა, არ ჩამოვიდესო...*

— ახლა უკვე საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე — ამ სანაკრებო შეკრებაზე არ ჩამოვალ.

*— შევიტყვეთ, რომ ამასთან დაკავშირებით შენთან ნაკრების მწვრთნელი გაიოზ დარსაძე და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი აპირებდნენ დარეკვას...*

— ნოდარ ახალკაცმა დამირეკა და შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე ნაკრებში არ ვითამაშებ. როცა მიმდინარე შესარჩევი ციკლი დასრულდება და გაირკვევა, თუ ვინ უხემძღვანელებს ნაკრებს, იმ მწვრთნელმა გადაწყვიტოს, მომიწვევს თუ არა ნაკრებში. ჩემს სანაკრებო კარიერის გაგრძელებაზეც მერელა ვისაუბრებთ.

*— და ახლა რატომ თქვი უარი ნაკრებზე? გაიოზ დარსაძემ წინა სამი მატჩისთვის რომ არ გამოგიძახა მაგიტომ?*

— მე მგონია, რომ ნაკრებში ახლა მასმედიის ზეწოლის გამო გამომიძახეს. სატელეფონო საუბრისას ახალკაცმა მითხრა, რომ ეს ასე არ არის და მე ნაკრებისთვის საჭირო ვარ. ახალკაცმა ისიც მითხრა, შენთან უფრო მჭიდრო კონტაქტი უნდა გვქონდოდა, ყველაფერი ეს კი გამოსწორდებაო. ერთი სიტყვით, თუ ნაკრებში ჩამოვალ, არანაირი დაბრკოლება და ეჭვი არ უნდა არსებობდეს. მე საქმისთვის უნდა ჩამოვიდე და საქმისთვის ასე აჯობებს.

დავით თაგართქილაძე






## იმედგაცრუება ბერძნულ რომაულად

ქართული შვიდეული თბილისში ხელცარიელი ბრუნდება

13

# ეს სიონი რა ყოფილა...

## ბოლნისელები უკვე ყველას და ყველაფერს უგებენ



„სიონი“ და ბოლნისელი ქომაგები „ზესტაფონის“ კარში გატანილ გოლს ერთად ზეიმობენ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 8 ტური



ბადრი კეთილაძის ფოტო

მივიწყებული მოგების გემოს გახსენება „დინამომ" მიხეილ ბობოხიძის (№11) გოლით დაიწყო

# დინამომ კრიზისს მოუგო

## ცხადაძე ნაკრების მერე ააწყობს

თბილისი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი. 1 200 (ტევადობა 2 000)

### სპარტაკი 0:3 დინამო

0:1 ბობოხიძე (12), 0:2, 0:3 იაშვილი (37, 73)

**სპარტაკი:** დევაძე (გ. გაბელია 46), ჯანგიძე, თ. მჭედლიშვილი (დონდოლაძე 66), იმნაიშვილი, კოტრიკაძე, მალიჩავა (ჩანტლაძე 66), ქოქიაშვილი, ხუბუა, ურუშაძე, მაღლაფერიძე, ტაბიძე

*სათადარიგონი:* დემეტრაძე, დანელია, დ. ფიფია, რიცამაძე

**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ლ. აკობია, ამისულაშვილი, გიგაური, გ. ქელიძე, ლ. ნოზაძე, ჯ. მახარაძე, გ. მურებაშვილი, ბობოხიძე (გრიგალაშვილი 26), ს. იაშვილი (გ. თომაშვილი 85), მეგრელაძე (დვალიშვილი 76)

*სათადარიგონი:* სტურუა, ლობჟანიძე, ჩირიკაშვილი, კობახიძე

**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**გაფრთხილება:** მაღლაფერიძე (33), კოტრიკაძე (49), მეგრელაძე (74)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ჩიგოგიძე; ლ. მიქელაძე; ა. კრაჭაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** რ. ტალიაშვილი

კობა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" მოიგო, მოიგო მეტად დამაჯერებლად და, წესით, ახლა უნდა მოფერიანდეს. ყოველ შემთხვევაში, სანაკრებო მატჩების გამო დღეიდან საქართველოს ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზაა და წარუმატებელი პერიოდის შემდეგ „დინამომ" გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. „სპარტაკის" დამარცხება ჩემპიონებს, პირველ ყოვლისა, ალბათ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით წაადგებათ.

„დინამოს", გეცოდინებათ, შემადგენლობაში სერიოზული პრობლემები აქვს და მწვრთნელიც თამაშიდან თამაშამდე ექსპერიმენტებს მიმართავს. მაგალითად, გუშინ, მცველთა ნაკლებობის გამო კახა ცხადაძემ ცენტრალურ მცველად საყრდენი ლაშა ნოზაძე ათამაშა, მატჩი კი ერთბაშად სამი შემტევით დაიწყო — სანდრო იაშვილმა, გიორგი მეგრელაძემ და მიხეილ ბობოხიძემ „სპარტაკის" დაცვა აიკლეს. ხოლო როცა ჩემპიონებმა პირველი გოლი გაიტანეს, ბობოხიძეს წელი ასტკივდა და ცხადაძესაც ისევ მოუწია ტაქტიკური სქემის გადაწყობამ — ბობოხიძის შემცვლელმა შოთა გრიგალაშვილმა შუა ხაზი გააძლიერა.

პირველი გოლი, როგორც ვთქვით, ბობოხიძემ გაიტანა — მარჯვნიდან მეგრელაძის დაბალზე ჩაწოდებულზე მცველს დაასწრო და გაიხარა. ეს ამბავი მე-12 წუთზე მოხდა, თუმც იქამდე „დინამოს" ორჯერაც უნდა გაეტანა — ჯერ მეგრელაძეს, ვინც კარიდან წინგამოსულ აკაკი დევაძეს ბურთის თავზე გადაგდება დაუპირა, მაგრამ ვერ მოზომა, მეორედ კი იაშვილს ჰქონდა რეალური მომენტი.

გოლის შემდეგ მატჩში საინტერესო ბევრიც არაფერი მომხდარა, თუმც „სპარტაკმა" მწარ-მწარე ჩხვლეტებს უხშირა და მეტოქე ორსამჯერ აანერვიულა. აღვნიშნოთ მაღლაფერიძის თავური, რასაც მიზანი ოდნავ დააკლდა. მერე კი „დინამომ" ისევ იძალა და მთელი მატჩიც ასევე გაგრძელდა.

„სპარტაკისთვის" საბედისწერო კი 37-ე წუთი გამოდგა: დევაძეს ბურთი ხელებიდან გაუვარდა, რითაც იქვე მყოფმა იაშვილმა ისარგებლა — 0:2. თამაშიც, ფაქტობრივად, ამის შემდეგ დამთავრდა და მეორე ტაიმიც პირველზე გაცილებით უინტერესო გამოდგა. „დინამომ" მეტოქე აღარ გაახარა და ერთი გოლიც გაუტანა: მეგრელაძის პასი ისევ იაშვილმა შეირგო, მცველს აჯობა და უკვე გიორგი გაბელიას გაუტანა, რომელმაც შესვენებაზე დევაძე შეცვალა.

### პრესკონფერენცია

*კახა ცხადაძე:* ბოლოდროინდელი წარუმატებლობის შემდეგ დღეს „დინამომ" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ახლა ჩემპიონატში შესვენებაა, განახლებამდე კი ალბათ ალანიელი ქართველების დამატების საკითხიც გაირკვევა. სამწუხაროდ, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგვიწევს. იცით, რომ „დინამოში" ბევრი ახალგაზრდაა და ნელნელა მათ თავის გამოჩენის მეტ საშუალებას მივცემთ.

*გიგლა იმნაძე:* ვულოცავ „დინამოს" დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენთან მოპოვებული სამი ქულა მათ ალბათ კრიზისის დაძლევაში დაეხმარება. პირველ ტაიმში „სპარტაკმა", რაც შეეძლო, იბრძოლა, მაგრამ მეტოქისთვის ნაჩუქარი მეორე გოლის შემდეგ ფეხბურთელებმა თამაშის ხალისი დაკარგეს.

# უოფლო და უსაყვედურო

თბილისი. 2 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 300 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 3:0 კახეთი

1:0 სირბილაძე (12), 2:0 რამინი (41), 3:0 კველაშვილი (80ს.კ.)

**ლოკომოტივი:** გ. კანკავა, სალუკვაძე, მახარაძე, გ. ონიანი, სლიუსარი, რ. ონიანი, ინოშიძე, ქებაძე (ჩიგაძე 83), სირაძე (კახელიშვილი 46), სირბილაძე (ალავერდაშვილი 81), რამინი

*სათადარიგონი:* ლობჟანიძე, დ. ფოფხაძე, მანია, ვიფიანი

**მწვრთნელი:** ნოდარ აკობია

**კახეთი:** გ. იაშვილი, კველაშვილი, კოშაძე, დ. ლობჟანიძე (ყრუაშვილი 46), ბიდოიძე, იმერლიშვილი, ნ. დავითაშვილი (ამირანიძე 81), დ. ბურდული, ბ. ბურჩაძე, კუპრაშვილი, სისულია (ბიძინაშვილი 68)

*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, ზ. დვალი, გ. მუტრიაშვილი, ჯვირკვალია

**მწვრთნელი:** ჯუმბერ მახარაშვილი

**გაფრთხილება:** ინოშიძე (44), კუპრაშვილი (50), კველაშვილი (81)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. კვირიკელია (ზუგდიდი)

**ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

ილია ნანობაშვილი

რატომღაც ისე ჩანს, საქართველოს ჩემპიონატზე ლაპარაკი „სიონის" ლიდერობით, „ბორჯომის" კუდში დევნით და „დინამოს" წარუმატებლობით იწყება ხოლმე, თუმცა აგერ, ნოდარ აკობიას „ლოკომოტივიც" თითქოსდა შეუმჩნევლად ახრამუნებს სამქულიანებს: სასტარტო ორი ფრის შემდეგ რკინიგზელებმა გუშინ ზედიზედ მეექვსე თამაში მოიგეს და ამ ექვსში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს.

არავითარი ჟინი და სიშმაგე — ისეთი თამაში იყო, ჩაგეძინებოდა კაცს. „ლოკომოტივის" რა ბრალია, პირველივე ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი და შესვენების შემდეგ თავი აღარ მოუკლავს, მაგრამ „კახეთისგან" ასეთ უფხოობას არ ველოდით. თელაველებს ერთი 50-პროცენტიანი მომენტიც არ შეუქმნიათ გრიგოლ ჭანტურიას კართან.

თბილისელთაგან კი ფორვარდი ირაკლი სირბილაძე საუკეთესო იყო. „კახეთის" რბევაც სწორედ მისი გოლით დაიწყო: უზბეკი ისლომ ინოშიძის კუთხურიდან ჩაწოდებულს ირაკლი შორეულ კუთხესთან თავით დაუხვდა — 1:0.

მალევე იმავ სირბილაძეს მეორეც უნდა გაეტანა, მაგრამ კახელთა მეკარე გიგა იაშვილმა [illegible].

ტაიმის ბოლოს კი „ლოკომოტივმა" ორი საგოლე შანსიდან ერთხელ იხეირა: 41-ე წუთზე ისევ სირბილაძე გამოირჩა, თავით დაუგდო ბურთი აქტიურ რამინს და ბრაზილიელის 6-7 მეტრიდან დარტყმულიც ძელასხლეტით შეკრა კარში. ზემოთ ნახსენები მოიჩნეთ კი დავით სირაძემ გააცუდა — ლაშა ქებაძის პასის შემდეგ დარტყმა დააზანა. საერთოდ, სირაძისგან ძალიან ბევრს ველით, წესით, დათი უნდა „დაფრინავდეს" ამ ჩემპიონატში, მაგრამ ამას მხოლოდ ეპიზოდურად თუ ახერხებს...

მეორე ტაიმში „კახეთი" კიდევ უფრო დადაბუნებული ჩანდა და მათი ბედი, რომ იაშვილი ნახტომების იმტყზე იყო: სანდრო იაშვილის უმცროსმა ძმამ როინ ონიანი, სირბილაძე და შეცვლაზე შესული გიორგი კახელიშვილი გააჩერა.

თუმც თელაველები დიდი ანგარიშით მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ: მე-80 წუთზე როინ ონიანი თავით პას აწვდიდა კახელიშვილს, მაგრამ ბურთი სტუმართა მცველ გიორგი კველაშვილს უხერხულად მოხვდა მკერდზე და ავტოგოლიც გამოვიდა — 3:0.

### პრესკონფერენცია

*ნოდარ აკობია:* ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო და მგონი, ანგარიშიც შესაფერისია. კახელიშვილმა წინა მატჩში არცთუ კარგად ითამაშა და ამიტომაც, მის ნაცვლად რამინი დავაყენე ძირითადში. ახლა ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენება და ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ — ალბათ ერთ ტესტ-მატჩსაც გავმართავთ.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ბრაზილიური გოლი „კახეთის" კარში

საქართველოს XVII ჩემპიონატი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე 8 ტური


ვაჟა კოპილაშვილის ფოტო

# სიყვარული ბოლნისში

## სიონმა ზესტაფონი სიმღერ-სიმღერით დაამარცხა

ბოლნისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 500)

**სიონი 1:0 ზესტაფონი**

1:0 დოლიძე (23)

**სიონი:** ბობღიაშვილი, კობაური, დ. ხვანიძე, ჩიკვილაძე, რაქვიაშვილი, გ. დოლიძე (ა. ალავიძე 71), ლ. ხმალაძე, კვიტაიშვილი, დ. ბოლქვაძე (ლ. ბაჯელიძე 85), ჯ. დვალი, მიკუჩაძე (ქარდავა 81)
სათადარიგონი: ასლანაძე; აგალიანი, ჩაჩუა, ლ. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, ს. თოდუა (იონანიძე 77), შ. ლონდაძე, ხიდეშელი, ძამსაშვილი, კ. ჩხეტიანი, განუგრავა, სულაკაძე (ბ. ნოზაძე 27), გოგი ფიფია, იმედაძე, ბ. გოცირიძე
სათადარიგონი: თ. მზიკაძე; რ. კვერნაძე, ბესარაშვილი, ნუდნი, გ. თურმანიძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** მიკუჩაძე (6), რაქვიაშვილი (28), გოცირიძე (59), ხმალაძე (60), კობაური (65), ბობღიაშვილი (76)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (ზუგდიდი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); გ. ახკაროღლი (ქარელი)

**ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. ჯიშკარიანი

**გიორგი ვაშაკიძე** ბოლნისიდან

ალალად ვიტყვი: მერვე ტურის ცენტრალური მატჩის ხილვა ნაღდად ღირდა, გვიმრავლოს ასეთი თამაშები საქართველოს ჩემპიონატში...

...გუნდები მოედანზე გამოვიდნენ და... დაიწყო: „დელია, დელია, ეს „სიონი" ჩვენია, ჩვენი მოსავლელია; ვისაც „სიონი" არ უყვარს, ყველა მო...ელია".

დაბოლოვება მთლად კორექტული ვერ არის, ტექსტის დახვეწა ალბათ სასურველიც კი იქნებოდა, მაგრამ...

აფერუმ, ბოლნისელი ქომაგების ერთიანობას! ვერ გეტყვით, რამდენად იმოქმედა „ზესტაფონზე" ათას ხუთასი ქომაგის ხმაშეწყობილმა სიმღერამ, ის კი ფაქტია, რომ „სიონმა" დამსახურებულად მოიგო.

„სიონმა" თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა მეტოქეს და „ზესტაფონიც" აჰყვა. ხვიჩა ქასრაშვილის 4-3-1-2-ს სტუმართა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ თითქმის იგივენაირი სქემა დაუპირისპირა. დაუპირისპირა და, ნამატჩევს პრესკონფერენციაზე ისიც აღიარა, პირველი ტაიმი პირწმინდად წავაგეთ, ბიჭებს რა დავალებაც მივეცი, ვერ შეასრულესო.

მასპინძლებს მეჩვიდმეტე წუთზე უნდა გაეტანათ. დავით ბოლქვაძის პასით გრიგოლ დოლიძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ზურაბ ქვაჩახიამ ბურთი მოიგერია.

ამ მომენტიდან ექვს წუთში ბოლნისელმა ფანებმა გაიხარეს კიდეც: თენგიზ ჩიკვილაძემ საჯარიმო შეასრულა — ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა და ბოლქვაძეს მივიდა, რომელმაც იქვე დოლიძეს დაუგორა და მასპინძელთა ნახევარმცველმაც ძლიერი დარტყმით შორეულ კუთხეში შეაგდო — 1:0.

ცოტა ხანში მიკუჩაძე-რაქვიაშვილის კომბინაციას ბოლქვაძის კიდევ ერთი დარტყმა მოჰყვა, მაგრამ ამჯერად ბურთი კარს მცირედით ასცდა.

პირველ ტაიმში სტუმრებს საგოლე მომენტი, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ.

შესვენების შემდეგ კი სურათი შეიცვალა. „სიონს" დაღლა დაეტყო, რადგან პირველ ტაიმს დიდი ენერგია შეალია, „ზესტაფონმა" კი უმატა და სათამაშო უპირატესობასაც დაეუფლა.

დაახლოებით მე-60 წუთიდან სტუმრები მასპინძელთა საჯარიმოში დასახლდნენ. კახა ჩხეტიანის სახიფათო დარტყმული მინდია ბობღიაშვილმა მოიგერია.

ამასობაში, „სიონმა" ერთი კონტრშეტევა გაახერხა — ბოლქვაძის კუთხურიდან ჩაწოდებულს ჩიკვილაძემ თავური მიაყოლა — ხიფათი ბექა ნოზაძემ განმუხტა, მეკარე დაიზღვია და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

70-ეზე „ზესტაფონს" გათანაბრება შეეძლო, მომენტი კი დავით სვანიძის შეცდომას მოჰყვა: სევასტი თოდუას გრძელ პასს სვანიძემ თვალი გააყოლა, საჯარიმოში ბურთს ტანმორჩილი ბექა გოცირიძე დაუხვდა და მეკარისთვის ბურთის თავზე გადავლება სცადა, მაგრამ ბობღიაშვილი ეშმაკობას მიუხვდა და ჩანაფიქრიც ჩაუფუშა — ბურთს ჰაერშივე შესწვდა.

77-ე წუთზე თემურ მახარაძემ მატჩის გადასარჩენად გუნდს ზურაბ იონანიძეც დაახმარა, მაგრამ „იონას" ხეირიანად ბურთი არც მიუღია.

შეხვედრის ბოლოს სამი ფორვარდით მოთამაშე „ზესტაფონმა" შტურმისმაგვარი მოუწყო მასპინძლებს. ერთ მომენტში გოცირიძემ იმედაძის დარტყმულ ბურთს თავით მიმართულება შეუცვალა, მაგრამ „სიონის" მეკარეს კვლავ ვერ აჯობა.

მსაჯის მიერ დამატებულმა სამმა წუთმა კი ორივე გუნდს თითქოს მეორე სუნთქვა გაუხსნა და ეს დრო ორმხრივ შეტევებში გაილია.

სტუმართა ბოლო შანსი კი კუთხური იყო, რომელსაც სახეირო არაფერი მოჰყოლია — ზურაბ ანიაშვილმა მატჩის დასრულებისა ჩასტვინა და „სიონმაც" დამსახურებული სამი ქულით გაიხარა.

### პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* პირველ რიგში მეტოქეს გამარჯვებას ვულოცავ. „სიონი" საკმაოდ სიმპათიური, კარგი გუნდია. ძალიან რთული თამაში იყო. შესვენებამდე ჩემმა ფეხბურთელებმა დავალება ვერ შეასრულეს და გოლიც ფაქტობრივად არაფრისგან გავუშვით. მეორე ნახევარში გამოვასწორეთ თამაში, მომენტებიც გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გოლი ვეღარ შევაგდეთ.

*ხვიჩა ქასრაშვილი:* ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოვიგეთ. ცხადია, ვიცოდით, რომ ზესტაფონელებთან მძიმე მატჩი გველოდა და ასეთ გუნდთან გამარჯვებაც ორმაგად სასიამოვნოა. ვფიქრობ, სამი ქულა დამსახურებულად გვერგო.


ვაჟა კოპილაშვილის ფოტო

მინდია ბობღიაშვილის „სიონი" ბექა გოცირიძის „ზესტაფონსაც" აჩის თავზე და სხვა დანარჩენებსაც

# მახარაძე კრებამ დატოვა

## ზესტაფონი წყალტუბოში გადავიდა

„**ზესტაფონმა**" მწვრთნელი თემურ მახარაძე დაითხოვაო... შაბათს ბოლნისში, „სიონთან" წაგებული მატჩის შემდეგ კულუარულად ითქვა ეს ამბავი და გუშინ უკვე მახარაძის შესაძლო შემცვლელებსაც ასახელებდნენ.

— არ არის მართალი, თემურ მახარაძე ჯერაც „ზესტაფონის" მწვრთნელია. ის გუნდის მომზადებას 5 ოქტომბრიდან წყალტუბოში გააგრძელებს. მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონატში ახლა ორკვირიანი პაუზაა და მწვრთნელმა ბიჭები ოთხი დღით დაასვენა — გვითხრა „ზესტაფონის" გენერალურმა დირექტორმა *დავით აბაშიძემ*.

**— მახარაძე ჯერაც მწვრთნელიაო, თქვით. შესაძლოა მალე აღარ იყოს?**

— ყველაფერი შეიძლება.

**— ანუ, კულუარული ამბავი, მახარაძე გაათავისუფლესო, სიმართლესთან ახლოს ყოფილა...**

— დიახ, მართლაც ვფიქრობდით მისთვის მადლობის თქმას და გათავისუფლებას, მაგრამ, მოგვიანებით კლუბის უფროსობის კრება შედგა, სადაც გადაწყდა, რომ მახარაძე ჯერჯერობით ისევ ჩვენთან იმუშავებს.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 8 ტური



კობა შალამბერიძემ „ტორპედოს" შეტევებს სიმწვავე შემატა



მერაბ ძოძუაშვილმა (№7) თბილისელებს მატჩის ბოლოსკენ გაუტანა

# ნათლია და ნათლული

## ძოძუაშვილმა შალამბერიძეს გარჯა დაუფასა

ქუთაისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო. 3 000 (ტევადობა 20 000)

### ტორპედო 1:0 თბილისი

1:0 ძოძუაშვილი (75)

| | |
|---|---|
| **ტორპედო:** რევიშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, ორმოცაძე, მალაკელიძე, კავთელაძე (კ. შალამბერიძე 46), ზ. ჩხეტიანი (ტეხოვი 64), ა. ფოფხაძე, ბურჯანაძე (მ. ლონლაძე 64), ძოძუაშვილი, მდივნიშვილი<br>*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; ა. კვერნაძე, დოლონაძე, გიორგი შენგელია<br>**მწვრთნელი:** რევაზ ბურკაძე | **თბილისი:** ალავიძე, დარსაძე (მაცაშვილი 69), მიმინოშვილი, გ. ფოფხაძე, ბერიძე, კაკაბაძე, ბარამიძე (გოგოხია 73), ბოჭორიძე, რევაზ ბარაბაძე, ლოლაძე (კვასხვაძე 54), ხოხონიშვილი<br>*სათადარიგონი:* შეყრილაძე, ჩაგელიშვილი, სხანბერიძე, თოფურია<br>**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი |

**გაფრთხილება:** ალავიძე (10), ბერიძე (22), ჩხეტიანი (53), გ. ფოფხაძე (59)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი), გ. ელისაბედაშვილი (თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**ინსპექტორი:** ტ. თევზაძე

**ზაზა ცინცაძე** ქუთაისიდან

**რამდენიმე** თვის წინ ეს გუნდები ერთმანეთს ვერცხლის მედალს ეცილებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ორივე გუნდში, შესაბამისად, შეიცვალა მათი მიზნებიც: წინა სეზონში „ტორპედომაც" და „თბილისმაც" საპრიზო ადგილებზე გასვლა შეძლეს, ახლა კი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან.

...პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს — მე-10 წუთზე ავთანდილ ფოფხაძემ ოსტატურად აუარა გვერდი მის წინ დარჩენილ ერთადერთ მცველ გიორგი ლოლაძეს და მეკარესთან პირისპირ დარჩა. მიხეილ ალავიძეს ისღა დარჩენოდა, საჯარიმოს მისადგომებთან მოეცელა ქუთაისელი ნახევარმცველი — მსაჯმა თბილისელთა გოლკიპერი დაინდო და ოდენ ყვითელი ბარათი აკმარა, ჯარიმა კი მერაბ ძოძუაშვილმა შეასრულა, ბურთი ცოცხალ კედელშიც გააძვრინა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა.

მე-15 წუთზე სტუმრებმა გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან. კაკაბაძემ კარგი პასი მიაწოდა გიორგი დარსაძეს, რომელიც სამ ტორპედოელ მცველს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა — ნუკრი რევიშვილმა კარი დროულად დატოვა და ბურთსაც დაეუფლა.

მალე ლაშა მიმინოშვილსაც შეეძლო ანგარიშის გახსნა, ორი ტორპედოელი მცველიც ჩამოიტოვა, მაგრამ დაზღვევაზე კარგად ითამაშა კახა ებრალიძემ.

საპასუხო შეტევისას ორმოცაძემ შორი მანძილიდან მოულოდნელად და საკმაოდ ძლიერად დაარტყა სტუმართა კარში — ალავიძემ ბურთი ვერ შეიმაგრა, დამატებაზე კი ძოძუაშვილს შეეძლო გატანა, თუმც დააგვიანა.

მეორე ტაიმში „ტორპედო" გამოცოცხლდა — თამაშში კობა შალამბერიძე ჩაერთო, ვინც საკმაო სიმწვავე შემატა გუნდის შეტევებს და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე.

47-ე წუთზე შალამბერიძემ ბურთი მოიგდო და თითქმის მთლიანად გადალახა მეტოქის ნახევარი, მაგრამ ბოლო მომენტში ბურთი ოდნავ წინ გაიგდო და ალავიძემაც წამით დაასწრო, თორემ...

74-ე წუთზე იმავ შალამბერიძემ მარჯვენა ფლანგიდან შეუტია მეტოქეს მწვავედ, კარგადაც დაარტყა კარში, მაგრამ ისევ მეკარემ ივაჟკაცა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურის ალამთან კობა შალამბერიძე მივიდა, იქიდან ჩაწოდებულს კი მისმა ნათლიამ, მერაბ ძოძუაშვილმა დაჰკრა თავი და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა — 1:0.

„ტორპედოს" დარჩენილ დროში საქმის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებია და ამ სამი ქულით გასავარდნ ზონასაც დააღწია თავი.

### პრესკონფერენცია

*გიორგი დევდარიანი:* წაგებულის პოზიციიდან რთულია, ჩემს გუნდზე რაიმე პოზიტიური ვთქვა. ამ ახალგაზრდებს გვერდით რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი თუ არ ეყოლათ, რთულია რაიმე მიზანზე ლაპარაკი. მაგალითად „ტორპედოს" მოგიყვანთ, სადაც ახალგაზრდებიც თამაშობენ და რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც.

*რევაზ ბურკაძე:* შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ისე კი, ჯერაც გვაკლია სათანადო გამოცდილება — გუნდში არიან ფეხბურთელები, ერთ თამაშს კარგად ითამაშებენ, შემდეგ კი გარკვეული ჩავარდნა აქვთ.

# ბათუმმა ფილიას ბოდიში მოახდევინა

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**1 ოქტომბერს** ბათუმის ბულვარში სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები იმართებოდა საზღვაო სეზონის დახურვასთან დაკავშირებით და იქვე მდებარე სტადიონზე მისასვლელად აღარავის ეცალა.

ზღვისპირა დერბიც უღიმღამო გამოდგა.

„კოლხეთი" ძალიან უნიათოდ ირჯებოდა, ხოლო „ბათუმმა" 17 წუთში მოამთავრა საქმე და მერე საკუთარ საჯარიმოსთან გამაგრდა...

პრესკონფერენციაზე კი გავიგეთ, რომ ოთარ გაბელიას ასეთი მითითება შეგირდებისთვის არ მიუცია... „ბათუმმა" დაბრდღვნაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ წინა ტურში „ამერთან" ჩატარებულ მატჩის მერე ახალი მწვრთნელის ხელი უფრო ეტყობოდა — გუნდი შედარებით ტექნიკურად და სწრაფად თამაშობდა.

კოლხთა კარში ბურთი პირველად მე-10 წუთზე გავიდა — ბათუმელმა გიზო ჯელაძემ მარცხენა ფლანგზე ფოთელი მოთამაშე მოატყუა და მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, იქ კი მცველმა კილასონიამ წესის დარღვევით შეაჩერა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა — გიორგი მანწკავამ შანსი გამოიყენა — 1:0.

მეორე გოლი მე-17 წუთზე ენახეთ. მოედნის ცენტრში ყურაშვილს იმავ მანწკავამ ბურთი აართვა და უზადო გადაცემით მიხეილ კაკალაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა — 2:0.

ამის შემდეგ, როგორც ვთქვი, თამაში, ფაქტობრივად, დამთავრდა...

### პრესკონფერენცია

*სოსო ფილია:* ბოდიშს ვიხდი ცუდად ჩატარებული მატჩისთვის. ოც წუთში გადაწყდა ყველაფერი — „ბათუმმა" დამსახურებულად მოიგო.

*ოთარ გაბელია:* ფეხბურთელებმა დავალება სათანადოდ ვერ შეასრულეს, მაგრამ წინა მატჩთან შედარებით დღეს უკეთ ითამაშეს.

ბათუმი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო. 100 (ტევადობა 5 000)

### ბათუმი 2:0 კოლხეთი

1:0 მანწკავა (10პ), 2:0 კაკალაძე (17)

| | |
|---|---|
| **ბათუმი:** თოთლაძე, ბეგლარ თედორაძე, სიდამონიძე, გუშარაშვილი, ი. მახარაძე, ეცონია, გ. ჯელაძე, გ. მანწკავა (ცანავა 83), მ. ბურნაძე (დარჩიძე 68), კაკალაძე, მიქაძე (ფირცხალაიშვილი 64)<br>*სათადარიგონი:* ბალაძე, გალოგრე, ქაცარავა, ბესიკ თედორაძე<br>**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია | **კოლხეთი:** ბათიაშვილი, კილასონია, ჯ. შალამბერიძე, ქუტიძე, ყურაშვილი (ნიქარიშვილი 51), კრასოვსკი, ფარულავა, სამსეიშვილი, ნარსია (გოჩალეიშვილი 20), ქუთათელაძე, ზ. ჯანაშია<br>*სათადარიგონი:* ლატარია; გოგენია, ლოლუა, სახოკია<br>**მწვრთნელი:** სოსო ფილია |

**გაფრთხილება:** კილასონია (10), ფარულავა (28), თედორაძე (66)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; მ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი)

**ინსპექტორი:** ვ. ეჯიბია

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა პირველი წრე 8 ტური

# ვარჯიში!

## გაიტანეთ, ვისაც არ გეზარებათ

**ილია ნანობაშვილი**

**თამაშის** დაწყებიდან 100 წამი თუ იქნებოდა გასული, როცა ბორჯომელი მცველი ალექსანდრე ბურნაძე „ცხინვალის“ საჯარიმოში შექმნილ არეულობაში კარგად გაერკვა და მძლავრი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

ხშირად ასეა, სწრაფი გოლი იმის მანიშნებელია, რომ თამაში უფრო გახსნილი და სანახაობრივი გამოვა. სანახაობრიობისა რა გითხრათ, მაგრამ გახსნილობა კი, იცოცხლეთ, იყო — „ცხინვალს“ დაცვაში იმდენი ხვრელი ჰქონდა, „ბორჯომს“ რომ თამაშში მეტი სულგული ჩაედო, ვინძლო, ორნიშნა ანგარიშითაც მოეგო. სწორედ ეს იყო ისნური მატჩის ნიშანსვეტი: სოსო ფრუიძის გუნდი ისე ირჯებოდა, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყო. „ცხინვალი“ კი, რომელსაც წინა მატჩში გაძევებული მწვრთნელი ივანე თაყაძე აკლდა, იბრძოდა და გატანაც უნდოდა, მაგრამ ეს უკვე არ შეეძლო.

და მაინც, სოსო ფრუიძის გუნდი ერთხელ კი გადარჩა: 39-ე წუთზე სტუმართა ფორვარდმა დავით ჩილვინაძემ ოციოდ მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი.

მეორე ტაიმი უფრო მოსაწყენი გამოდგა, თუმც გოლებმა ოდნავ გაახალისა. „ცხინვალი“ დაიღალა, ვერც შეცვლაზე შესულმა დავით დათვაძემ იციბრუტა ჩვეულად, დაცვაც სულ უფრო და უფრო ირეოდა, „ბორჯომი“ კი უმოწყალოდ ანიავებდა საგოლე შანსებს — გიორგი ქორიძეს ორწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუცუდდა დარტყმა, მაგრამ ბოლო 15 წუთში ფრუიძის შეგირდები მიხვდნენ, რომ 1:0 სახიფათო ანგარიშია და...

74-ე წუთზე ვეტერანმა იური გაბისკირიამ დაარტყა შორიდან და გული საგულეს ჩააყენა — 2:0. ბოლო ორი გოლი კი თორნიკე აფციაურის პასებით გავიდა: ტექნიკურმა ნახევარმცველმა ჯერ მინდორზე იმხანად შესული შოთა ჯიქია, სამ წუთში კი რევაზ გეწაძე გაიყვანა რამაზ სოლოლაშვილთან პირისპირ. ჯიქიამაც და გეწაძემაც იდენტურ სტილში გაიტანეს — მეკარის მოტყუება და ბურთის ცარიელ კარში შეგორება — 4:0.

„ცხინვალმა“ მიჯრით მეხუთე თამაში წააგო და გასავარდნთა ზონისკენ „მიილტვის“, „ბორჯომმა“ კი პირველ ტურში წაგების შემდეგ რომ დაიწყო, ჯერ არ დაუმთავრებია — იგებს და იგებს...

თბილისი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი. 400 (ტევადობა 3 000)

### ბორჯომი 4:0 ცხინვალი

1:0 ბურნაძე (2), 2:0 გაბისკირია (74), 3:0 შ. ჯიქია (86), 4:0 გეწაძე (89)

**ბორჯომი:** მამალაძე, ა. ბურნაძე, ლ. ქელიძე (რ. ჯიქია 88), მიქიაშვილი, მესხი, გაბისკირია (შ. ჯიქია 83), მემარნიშვილი, ბაქრაძე, გეწაძე, აფციაური, გ. ქორიძე (გ. გოჩაშვილი 70)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, მაჭავარიანი, ნასყიდაშვილი, გოგიჩაიშვილი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**ცხინვალი:** სოლოლაშვილი, დ. მაისურაძე, ქობესაშვილი, გ. ლომიძე, დ. ხანიშვილი, გ. მაისურაძე (გაბლაია 77), მოსიაშვილი, გამცემლიძე (ი. თაყაძე 46), ბ. ჩიტაია (დათვაძე 46), ჩილვინაძე, ბაკარანძე
*სათადარიგონი:* გიზო შენგელია, ხოხობაშვილი, ნ. ნოზაძე, ეჯოშვილი
**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე

**გაფრთხილება:** გამცემლიძე (22), გეწაძე (36), მიქიაშვილი (83)

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); დ. ხარიტონაშვილი, დ. კურტანიძე; გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი)

**ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი



ალექსანდრე ბურნაძემ (№3) სტუმრებს გამარჯვების თქმა არ აცალა

# დილას საბანი პირველ ტაიმზე გასწვდა

## სულთანიშვილის პოკერი და გვიჭირს, გვიჭირს, გვიჭირს

გორი. 1 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 800 (ტევადობა 8 230)

### დილა 5:0 სოხუმი

1:0 სულთანიშვილი (20პ), 2:0 ხანიშვილი (22), 3:0, 4:0, 5:0 სულთანიშვილი (25, 40, 45)

**დილა:** თ. ილურიძე, რევაზიშვილი, ქარქუზაშვილი, ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, საყვარელიძე (თომაშვილი 53), კ. ხანიშვილი (ტლაშაძე 46), შატაკიშვილი, მ. თაყაძე, სულთანიშვილი, წუწუნავა (ალ. ლაბაძე 73)
*სათადარიგონი:* ციცაგი, დ. ნადირაძე, კობახიძე, აკოფიანი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**სოხუმი:** სეფიაშვილი, წერეთელი, ცვანია, ჭყოიძე, უგრეხელიძე, გ. ჩხაიძე, მოლოდინი (გაგუა 35), ი. ჭანტურია (ცაძე 50), ხაჩიძე, შამუგია (მამფორია 62), რუსია
*სათადარიგო:* ფარჯიანი
**მწვრთნელი:** გოჩა ყორყოლიანი

**გაფრთხილება:** საყვარელიძე (30), ჭყოიძე (88)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**„დილამ“** ასეთი ანგარიშით ბოლოს როდის გაიმარჯვა, გულშემატკივრებს ხეირიანად აღარც ახსოვთ.

გუნდმა მთელი მობილიზებით ითამაშა (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) და მეტოქეს პირწმინდად აჯობა. მატჩი „დილას“ კაპიტნის, საბა სულთანიშვილის ბენეფისად იქცა.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, „დილას“ შეტევებით დაიწყო. უკვე მე-3 წუთზე ხანიშვილ-წუწუნავას კომბინაციას სტუმართა საჯარიმოში მწვავე ჩაწოდება მოჰყვა, მაგრამ სულთანიშვილმა ოდნავ დააგვიანა. ორი წუთის შემდეგ კვლავ კახა წუწუნავამ იაქტიურა: მისი პასით ქრისტეფორე შატაკიშვილი თითქმის პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ მცველმა იმარჯვა.

მე-9 წუთზე კი აშკარა გოლს გადაურჩნენ სტუმრები. ლევან გოჩაშვილი საკუთარ საჯარიმოსთან დაეუფლა ბურთს, თითქმის მთელი მოედანი გადაკვეთა, გზად „კედელი“ გაითამაშა სულთანიშვილთან და ზუსტადაც ჩაუწოდა წუწუნავას, რომელმაც რამდენჯერმე მოატყუა მცველები მეკარის ბაქანში და, რომ იტყვიან, პასი „დაუღეჭა“ სულთანიშვილს — გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ საბას დარტყმა გაუცუდდა.

სტუმრები იშვიათად პასუხობდნენ მასპინძელთა შეტევებს და ერთხელ მამუკა რუსიას პასით შამუგიას შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ სუსტად დაარტყა.

მე-20 წუთზე კი გორელებმა პენალტი დაიმსახურეს, მოუსვენარი წუწუნავა საჯარიმოში სეფიაშვილმა წააქცია — სულთანიშვილის დარტყმა ზუსტი გამოდგა — 1:0.

ამ გოლმა გორელებს „ფრთები შეასხა“ და 25-ე წუთზე სულთანიშვილმა მეორედ შეაგდო — 2:0.

28-ე წუთზე კი მიხეილ თაყაძემ სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმოში, მეკარემ ბურთი უხეიროდ მოიგერია და კობა ხანიშვილმაც შანსი გამოიყენა — 3:0.

გორელთა შეტევები არ შეწყვეტილა და ტაიმის ბოლო 5 წუთში კიდევ ორი გოლი ნახა მაყურებელმა: მე-40 წუთზე თაყაძის ზუსტი პასით მცველებისაგან უყურადღებოდ დარჩენილმა სულთანიშვილმა ანგარიში ოთხამდე გაზარდა, მერე კი შატაკიშვილ-თაყაძის კომბინაციის შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა და დამატებაზე კვლავ სულთანიშვილმა იმარჯვა — 5:0.

მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. გორელებმა უკან დაიწიეს, სტუმართა უგერგილო შეტევებს კი შედეგი არ მოჰყოლია.

**პრესკონფერენცია**

*გოჩა ყორყოლიანი:* პირველმა გოლმა გუნდი გატეხა. გამოცდილი მოთამაშეები გვაკლდნენ დაცვაში, ახალგაზრდები კი ხშირად ცდებოდნენ. ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* პრინციპული თამაში იყო ჩვენთვის. ბიჭებმა მოინდომეს და ღირსეულად ითამაშეს. „დილა“ უკვე ხელწამოსაკრავი აღარ არის და ახლა ელემენტარული პირობების დაკმაყოფილებას ველით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 8 | 7 | 1 | 0 | 15:4 | 22 |
| ბორჯომი | 8 | 7 | 0 | 1 | 18:4 | 21 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 2 | 0 | 13:2 | 20 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:6 | 13 |
| ბათუმი | 8 | 4 | 1 | 3 | 5:4 | 13 |
| ამერი | 8 | 4 | 1 | 3 | 7:7 | 13 |
| დილა | 8 | 4 | 0 | 4 | 12:7 | 12 |
| ზესტაფონი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:4 | 12 |
| კოლხეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 5:8 | 12 |
| კახეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:13 | 9 |
| ტორპედო | 8 | 2 | 1 | 5 | 5:8 | 7 |
| ცხინვალი | 8 | 2 | 0 | 6 | 4:12 | 6 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 1 | 6 | 1:8 | 4 |
| სოხუმი | 8 | 1 | 1 | 6 | 7:19 | 4 |
| თბილისი | 8 | 0 | 0 | 8 | 2:15 | 0 |

გიო ახვლედიანის „სვეტი“

# პამიდორი და ბურთი

ერთი გერმანელი კაცია და აქეთ დაიარება ხოლმე: უყვარს ჩვენი ქვეყანა და გაეგება აქაურობის.

ამ გაზაფხულზეც იყო და ვართ მეგრელებშიიიიი...

ჰოდა, როგორც არის, ჭამასმა და ლაპარაკები და, მიადგა სალათას და თან ბურტყუნებს რაღაცებს ტკბილად, იფ-იფ-იფო და უფ-უფ-უფო. რა მეთქი-ოქრო და, ძალიან მაგარი პამიდორიაო (პამიდორი ვთქვათ, რა, ამ პომიდორის წერა ძალიან სასაცილოა).

ისეთი მაგარი პამიდორიაო, რომ დედამიწის ზურგზე არ არის ასეთი პამიდორიო.

ჩვენი ბალ-ბოსტნისა-მეთქი, გავამაყდი მეც და სწორედ აქ მოიწყინა: გაქრება ეს პამიდორი, აღარ იქნებაო. იქნება ლამაზი პამიდორები სუპერ-მარკეტში და გემო კი აღარაფრისა ექნებაო.

რათა-მეთქი, კაცო.

რათაო და, რომ შეხვალთ ევროკავშირშიო, იქ პამიდორი ყველგან ერთნაირიაო. გემოები შეიცვლებაო, ბევრი რამე გაღაკეთდებაო.

ამან თავიდან კი შემაშფოთა, მეც მიჭამია ხრაშუნა პამიდორები უცხო მხარეში. მართალი რომ ითქვას, იქ ლუდი მაგარია და სხვა ყველაფერიც, პამიდორი კი არა. მაგრამ მერე დავმშვიდდი, რახან ჯერ ევროკავშირამდე გვიკლია, ხოლო პამიდორს საჩვენოდ მაინც შემოვინახავთ.

მაგრამ, აი, პამიდორის გაქრობასავით კი დამემართა ის, რომ რომელი ფეხბურთიც მინდა, იმას ველარ ვუყურებ, იმიტომ, რომ კანონები ყოფილა ასეთი. ეჰ, ნეტავ, იმ ძველ და ტკბილ დროს, როცა არჩევა შეგეძლო კაცს, გადართავდი — უყურებდი იმას, რაც გინდოდა.

კარგი ფეხბურთი, კარგი ფეხბურთია, მაგრამ უნდა აირჩიო. კანონები კიდევ ამის საშუალებას არ იძლევა. თუ კანონები ამის საშუალებას არ იძლევა, რად მინდა ამდენი არხები, „ნიკელოდეონის“ საყურებლად, თუ იმის სასმენად, რუსები როგორ გლანძლავენ?

მოკლედ, რაღაცით ჭეშმარიტი პამიდვრის დაკარგავს ჰგავს ეს ამბავი.

როცა არ არის შენებური პამიდორი, მოგიწევს გაკრიალებულის და უგემურის ჭამა. ეგება, ის პამიდორი უკეთესი და მიღებულია, მაგრამ დასწყევლოს, მე სხვა პამიდორი მინდა. არ მინდა ეგ პამიდორი. თან საჟალდებულოდ, გინდა თუ არა, ჭამეო. არ შევჭამ.

ასეც მოვიქეცი.

თუ დაემთხვა, ჩემი და ის პამიდორი ერთმანეთს, ხო კაი, თუ არ დაემთხვა და, მომიწევს ლობე-ლობე სირბილი, ჯერ კიდევ არის ერთი ორი საიდუმლო ადგილი, სადაც ჩემებური პამიდორი იშოვება.

# და სხვა ამბები

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VIII ტური

**ჩარლტონი 2:3 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 დ. ბენტი (25, 48), 2:1 კინგი (54), 2:2 მიდო (64), 2:3 რობი კინი (80)
ჩარლტონი: ანდერსენი, პერი, იუნგი, ელ კარკური, პოუელი, რომედალი, კიშიშევი (სპექტორი 85), მერფი, სმერტინი, ტომასი (ჰიუზი 79), დ. ბენტი (ბარტლეტი (71)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ტოტენჰემი: რობინსონი, ნაიბეტი, სტალტერი, კინგი, ლენონი, კილი, ჯენასი (რობი კინი 64), მენდეში (ტაინიო 58), დავიდსი, დეფო, მიდო (დოუსონი 82)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
გაფრთხილება: იუნგი, მერფი, კიშიშევი, დეფო, მენდეში
მსაჯი: დაუდი
27 111 მაყურებელი

**ფულემი 2:3 მანჩესტერი**

1:0 ჯონი (2), 1:1 ვან ნისტელროი (17პ), 1:2 რუნი (18), 2:2 კ. იენსენი (28), 2:3 ვან ნისტელროი (45)
ფულემი: კროსლი, ფოლცი, ბოკანეგრა, ნ. იენსენი, გომა, კ. იენსენი, მალბრანკი, დიოპი, ბოა მორტე, მაკბრაიდი (ჰელგუსონი 72), ჯონი (რაძინსკი 77)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ოში, სილვესტრი, ფერდინანდი, რიჩარდსონი (ბრედსლი 57), ფლეტჩერი, სმიტი, გიგზი (კ.რონალდო 77), პარკი, რუნი, ვან ნისტელროი (სქოულზი 84)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბოა მორტე, დიოპი, ფლეტჩერი
მსაჯი: ვები
21 862 მაყურებელი

**ბლეკბერნი 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0, 2:0 კუკი (80, 88)
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნილსენი, ნეილი, ხიზანიშვილი, გრეი, ბენტლი (ემერტონი 61), რიდი, თუგაი (მოკოენა 61), პედერსენი, დიკოვი, ბელამი (კუკი 14)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ვესტ ბრომვიჩი: კირკლანდი, ალბრეხსტენი, კლემენტი, კ. დევისი, გერა, ჩეპლოუ, ვოლვორკი, გრინინგი, კამარა (ფორსფილდი 78), კემპბელი (ელინგტონი 67)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: ნეილი, ნილსენი
მსაჯი: რენიე
20 721 მაყურებელი

**პორტსმუთი 0:0 ნიუკასლი**

პორტსმუთი: ეშდაუნი, ობრაიენი, პრისკე, სტეფანოვიჩი, გრიფინი (სონგოო 76), ონილი, დიაო (ჰიუზი 69), ვუკიჩი, ტეილორი, ვინალი, სილვა
მწვრთნელი: ალან პერინი
ნიუკასლი: გივენი, ტეილორი, კარი, ბუმსონგი, ბაბაიარო (ელიოტი 45), ოიერი, პარკერი, კლარკი (პიგე 88), ნზოგბია, შირერი, ამეობი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ვუკიჩი, ტეილორი, პარკერი
მსაჯი: ბენეტი
20 220 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:1 ვესტ ჰემი**

1:0 მილერი (45), 1:1 ბენაიუნი (72)
სანდერლენდი: დევისი, ბრინი, ნოსუორთი, კოლდველი, ჰოიტი, ვაითჰედი, ბასილა (ლოურენსი 36), მილერი, ველში (დერილ მერფი 87), გრეი, ელიოტი
მწვრთნელი: მიკ მაკარტი



ლივერპული — ჩელსი 1:4. ფრენკ ლამპარდმა ამ მატჩშიც საგოლედ მოიქნია

ვესტ ჰემი: კეროლი, ფერდინანდი, რეპკა (დეირი 68), გაბიდონი, კონჩესკი, ბენაიუნი, რეო-კოკერი, მულინსი, ეტერინგტონი (ნიუტონი 68), შერინგემი (ზამორა 62), ჰარვუდი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: კოლდველი, გაბიდონი, ნიუტონი, კონჩესკი, ბენაიუნი, რეო-კოკერი
მსაჯი: ატკინსონი
31 212 მაყურებელი

**არსენალი 1:0 ბირმინგემი**

1:0 კლემენსი (81ს.კ.)
არსენალი: ლემანი, ტურე, ლორენი, კემპბელი, კოული, გლები (ბერხკამპი 61), ჟილბერტო, ფაბრეგასი, პირესი (ვან პერსი 70), ლიუნგბერგი (ფლამინი 87), რეიესი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბირმინგემი: მ. ტეილორი, ჰასონი, ტებილი, კანინგემი, კლაპამი (ფორსელი 87), ჯონსონი, პენანტი, გრეი, პანდიანი (ლაზარიდისი 55), ჰესკი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: კლემენსი
გაძევება: კანინგემი (24)
მსაჯი: ფოი
37 891 მაყურებელი

**სიტი 2:0 ევერტონი**

1:0 მილსი (72), 2:0 ვასელი (90)
სიტი: ჯეიმსი, დისტინი, მილსი, დანი, ჯორდანი, მუსამბა (კროფტი 63), ბარტონი, სიბიერსკი, ირლანდი, კოული (ჯიჰაი 90), ვასელი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
ევერტონი: მარტინი, ვეირი, იობო, ფერარი, ნუნუ ვალენტე, ოსმანი (დევისი 75), ფ. ნევილი, კილბეინი, ჩეპილი, ბენტი (ბიტი 67), მაკფადენი (ფერგიუსონი 70)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ბარტონი
მსაჯი: პელსი
42 681 მაყურებელი

**უიგანი 2:1 ბოლტონი**

1:0 კამარა (48), 2:0 მაკკოლუჩი (63), 2:1 ჯაიდი (68)
უიგანი: ფილანი, დე ზეუვი, ანშო, ჩიმბონდა (ტეილორი 22), ბაიმესი, ბულარდი, კავანაგი, ფრენსისი, მაკკოლუჩი, რობერტსი, კამარა (კონოლი 90)
მწვრთნელი: პოლ ჯიუელი
ბოლტონი: იასკალაინენი, ჯაიდი, ბენჰაიმი, პედერსენი, ნოლანი, ოკოჩა (იანაკოპულოსი 54), სპიდი, ნაკატა (ბორგეტი 84), გარდნერი (დიუფი 57), დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ნაკატა, ნგოტი
მსაჯი: ვაილი
20 553 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:3 მიდლსბრო**

0:1 იაკუბუ (33), 1:1 მორი (50), 1:2 ბოატენგი (64), 1:3 იაკუბუ (88პ), 2:3 დევისი (90)
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი (სამუელი 45), რიჯველი, მელბერგი, ბუმა (ბაკე 76), მილნერი, დევისი, ბერი, ბერგერი, ანხელი, მური
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მიდლსბრო: ჯონსი, შავიერი, რიგოტი, საუთგეიტი, პოგატეცი, მენდიეტა (კედრუ 65), დორივა, ბოატენგი, როჩენბაკი, ნემეტი (პარნაბი 69), იაკუბუ
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ბერგერი, ბერი, რიჯველი, სამუელი, რიგოტი
მსაჯი: დინი
29 719 მაყურებელი

**ლივერპული 1:4 ჩელსი**

0:1 ლამპარდი (27პ), 1:1 ჯერარდი (36), 1:2 დაფი (43), 1:3 ჯო კოული (63), 1:4 ჯერემი (82)
ლივერპული: რეინა, კარაგერი, ფინანი, ჰიიპია (პონგოლე 71), ტრაორე (სისე 81), ჰამანი (სისოკო 68), ლუის გარსია, ჯერარდი, ალონსო, რიისე, კრუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ჩელსი: ჩეხი, გალასი, ტერი, კარვალიუ, დელ ორნო (ჰუტი 83), მაკელელე, ჯო კოული (რობენი 67), ლამპარდი, ესიენი, დაფი (ჯერემი 76), დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: კარაგერი, ჯო კოული, ლამპარდი, დროგბა
მსაჯი: პოლი
44 235 მაყურებელი

**რადგან** ისეთი სასიხარულო ვითარება შეიქმნა, რომ ინგლისური ფეხბურთის მოყვარულნი უქმეებზე სამ თამაშს უყურებენ და ყველაფერს მშვენივრად ხედავენ ტელეკამპანია „მზის" ეთერიდან, ჩვენც შეგვიძლია ცოტა ლაღად მივსდიოთ ამ მიმოხილვას და მაყურებელს მისგან ნანახზე კი არ გამოვუჭედოთ ყურები, არამედ ერთიორი ისეთი ამბავი მოვუთხროთ, ამ უქმეებზე რომ მოხდა.

ამას ის გვაბედინებს, რომ თვით ინგლისშიაც კი საკუთარი გულშემატკივრები ვერ ნახულობენ მატჩების საშაბათო პირდაპირ რეპორტაჟს, თუ ის 12 საათზე არ იწყება, ჩვენ კი ერთბაშად სამი გვაქვს.

რა იყო ყველაზე საინტერესო ამ კვირაში?

„ლივერპული" — „ჩელსის" თამაშიო, იტყვით თქვენ. მაგრამ რომელი? ოთხშაბათს რომ გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ეგიდით, თუ გუშინ საღამოს პრემიერლიგის განრიგით? სამწუხაროდ, შედარება შეუძლებელია, რადგან ჩემპიონთა ლიგის თამაში აქა-იქ ნახეს გულშემატკივრებმა შემთხვევითი თეფშებითა და მოულოდნელი, კიდევ გადარჩენილი კაბელებით.

სხვა საინტერესო კი ის იყო, რომ „ჩელსის" იდუმალი გეგმა გამოაცხადა უილიამ გალასმა: „თუ ჩვენ ასე გავაგრძელებთ თამაშს, იანვარში პრაქტიკულად ჩემპიონები ვიქნებით, ამიტომ, მთელს ჩვენს ენერგიას ევროპისკენ მივმართავთ. ჩვენი მიზანია ჩემპიონთა თასი. ბოლო ორი წელიწედია ნახევარფინალიდან ვვარდებით".

„ჩელსიმ" კი შესაძლოა მართლა განახორციელოს ის გეგმა, რომელზედაც უილიამ გალასი საუბრობდა. წუხელ, ლონდონელებმა „ლივერ-

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 8 | 8 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 24 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 |
| 2 ჩარლტონი | 7 | 5 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 15 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 12 |
| 3 ტოტენჰემი | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 7 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 |
| 4 მანჩესტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 14 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 |
| 5 ბოლტონი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 |
| 6 სიტი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 7 არსენალი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:4 | 6 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 8 უიგანი | 7 | 4 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 |
| 9 ვესტ ჰემი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:5 | 6 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 5 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 10 მიდლსბრო | 8 | 3 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 |
| 11 ბლეკბერნი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 12 ნიუკასლი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:7 | -2 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 13 ლივერპული | 6 | 1 | 4 | 1 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 14 პორტსმუთი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:9 | -4 | 6 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 3 |
| 15 ბირმინგემი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:12 | -5 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 16 ასტონ ვილა | 8 | 1 | 3 | 4 | 8:14 | -6 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 1 |
| 17 სანდერლენდი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:11 | -5 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 18 ფულემი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | -2 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | -6 | 2 |
| 20 ევერტონი | 7 | 1 | 0 | 6 | 1:9 | -8 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | -4 | 3 |



არსენალი — ბირმინგემი 1:0.
რობინ ვან პერსიმ რიჩარდ რაიტს ვერ აჯობა

პული“ „ენფილდზე“ გაანადგურეს. ჟოზე მაურინიოს გუნდმა ბრწყინვალე ითამაშა და სავსებით დამსახურებულად იმარჯვა.

მერსისაიდელებმა კი ერთადერთი ის შეძლეს რომ სტივენ ჯერარდის მშვენიერი გასროლილით ანგარიში გაათანაბრეს და გულშემატკივრებს ილუზია შეუქმნეს ყველაფერი ახლა იწყებაო, მაგრამ...

სტუმრებს განსაკუთრებულად ლამაზი მეორე და პრინციპში გადამწყვეტი გოლი გამოუვიდათ - დიდიე დროგბამ ბურთი ქუსლით ერთი მხრიდან შემოავლო სემი ჰიპიას, თავად კი მეორედან შემოურბინა, რასაც კროსი მოაყოლა და დემიან დაფმაც ვარდნაში გაუტანა რეინას. საერთოდ „ჩელსის“ კოტ დივუარელი ფორვარდი ბრწყინვალედ თამაშობდა. მართალია თავად ვერ იხეირა, მაგრამ თუნდაც ის ფინტი ბევრ გოლს ჯობდა.

ამ მატჩზე უფრო ვრცლად ხვალ ვისაუბროთ. ახლა კი დანარჩენ შეხვედრებზეც ვთქვათ ორი სიტყვა.

„არსენალს“ ათკაცა „ბირმინგემთანაც“ კი გაუჭირდა და უთავბოლო შეტევები გოლით ვერ დაასრულა. სამაგიეროდ მასპინძლებს მშველელად სტუმართა მცველი კლემენსი მოევლინათ, რომელმაც 81-ე წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მნიშვნელოვანი საკითხია „ნიუკასლის“ გადარჩენის მდგომარეობა. ის უწყინარად ჩანს „ჩელსის“ დიადი მიზნის ფონზე, თუმცა, პორტსმუთში მაიკლ ოუენის გარეშე ჯორდებმა კარშიც ვერ დაარტყეს. აქეთ მოუხდათ თავის გადარჩენა: შეი გივენმა ნამდვილი ჯადო ნახტომებით უშოვნა უგოლო ქულა „ნიუკასლს“. „პორტსმუტმა“ ეგრეც ვერ მოიგო საშინაო თამაში ამ სეზონში. ჯერჯერობით, რა თქმა უნდა.

ორი მაგარი თამაში კი მართლა იყო: „ჩარლტონი“ — „ტოტენჰემის“ და „ფულემი“ — „მანჩესტერი“. ორივე შემთხვევაში სტუმრებმა მოიგეს 3:2 და ორივეჯერ აგებდნენ. „ტოტენჰემი“ საერთოდაც ორ ბურთს. „მანჩესტერმა“ კი მოიგო რუდ ვან ნისტელროის ორი და რუნის გოლებით. თუმცა, „კრეივენ კოტეჯზე“ მთავარი კაცი იყო კორეელი სუნ პარკი.

ფერგიუსონმა სკამზე დასვა სქოულზი და რონალდო და რუნი თავდასხმაში დააბრუნა. პარკმა კი გაახერხა პენალტი, და რუნის და ვან ნისტელროის საგოლე პასები მიაწოდა. მეტი რაღა გინდა?

სვენ გორან ერიკსონი ჩარლტონურ მატჩს ესწრებოდა და დამთავრებას აღარ დალოდებია; ეტყობა სადღაც ეჩქარებოდა. სადღაც კი არა, კვირას სანაკრებო სია უნდა შეედგინა, ავსტრიასთან თამაშისთვის ერთი დაიჩივლა, რუნის ხასიათს ვერ შევუცვლი, თუმცა, სხვა ხასიათი რომ ჰქონდეს, ასე ვერ ითამაშებდაო.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დარენ ბენტი (ჩარლტონი) | 7 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერი) | 7 |
| ლამპარდი (ჩელსი) | 5 |
| ჰორსფილდი (ვესტ ბრომვიჩი) | 4 |
| ჰარვუდი (ვესტ ჰემი) | 4 |
| იაკუბუ (მიდლსბრო) | 4 |

### IX ტური

15-16 ოქტომბერი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი | ასტონ ვილა |
| ჩარლტონი | ფულემი |
| ჩელსი | ბოლტონი |
| ლივერპული | ბლეკბერნი |
| სიტი | ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო | პორტსმუთი |
| სანდერლენდი | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | ევერტონი |
| ვესტ ბრომვიჩი | არსენალი |
| უიგანი | ნიუკასლი |

### ჩემპიონატი

#### XII ტური

**ბრაიტონი 1:3 ნორვიჩი**

0:1 მაკერბი (21), 0:2 მაკვეი (40) 1:2 ფრუტოსი (66), 1:3 ჰენდერსონი (84)

**კარდიფი 1:2 ლუტონი**

1:0 რიკეტსი (8), 1:1 მორგანი (29), 1:2 ჰოლმსი (56)

**დერბი 1:1 ლესტერი**

0:1 ჰუმი (84), 1:1 ელ ჰამდუი (88)

**იფსვიჩი 2:1 ძრიუ**

0:1 ვაგანი (25), 1:1 კერი (53), 2:1 ფორსტერი (67)

**პლიმუთი 2:1 სტოკი**

0:1 ჩედვიკი (46), 1:1 რუსელი (49ს.კ.), 2:1 ბუსაკი (76)

**პრესტონი 1:1 საუთჰემპტონი**

0:1 დავიდსონი (26ს.კ.), 1:1 აგიემანგი (64)

**რედინგი 2:1 შეფილდი**

1:0 გუნარსონი (2), 1:1 კაბა (14), 2:1 გუნარსონი (88)

**უენსდი 3:2 ძოვენთრი**

1:0 კოგლანი (16), 1:1 მაკშეფრი (32პ), 2:1 ბრანტი (42), 2:2 მორენი (73), 3:2 ბრანტი (78პ)

**უოტფორდი 0:0 ლიდსი**

**ჰალი 1:1 მილუოლი**

0:1 ასაბა (60), 1:1 ბურგესი (80)

**ვულვზი 0:1 ბარნლი**

0:1 ოკონორი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 12 | 10 | 0 | 2 | 25:12 | 30 |
| რედინგი | 12 | 8 | 3 | 1 | 21:7 | 27 |
| ლუთონი | 12 | 7 | 3 | 2 | 19:11 | 24 |
| ვულვზი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:11 | 19 |
| უოტფორდი | 12 | 5 | 4 | 3 | 20:15 | 19 |
| ლიდსი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:10 | 18 |
| საუთჰემპტონი | 12 | 3 | 8 | 1 | 13:10 | 17 |
| იფსვიჩი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:17 | 17 |
| ქუინზ პარკი | 11 | 4 | 4 | 3 | 10:12 | 16 |
| სტოკი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:19 | 16 |
| კარდიფი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:14 | 15 |
| ნორვიჩი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:13 | 15 |
| კრ. პალასი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:10 | 14 |
| პრესტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ბარნლი | 12 | 3 | 4 | 5 | 18:16 | 13 |
| დერბი | 12 | 2 | 7 | 3 | 16:17 | 13 |
| ჰალი | 12 | 3 | 4 | 5 | 9:10 | 13 |
| ქოვენთრი | 12 | 2 | 6 | 4 | 15:18 | 12 |
| ლესტერი | 12 | 2 | 6 | 4 | 12:15 | 12 |
| პლიმუთი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:16 | 12 |
| ბრაიტონი | 12 | 1 | 7 | 4 | 12:17 | 10 |
| უენსდი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 10 |
| მილუოლი | 12 | 2 | 4 | 6 | 10:18 | 10 |
| ქრიუ | 12 | 1 | 6 | 5 | 11:20 | 9 |

### პირველი ლიგა

#### XII ტური

ბარნსლი — ოლდემი 4:0; ბრენტფორდი — როტერჰემი 2:1; ბრისტოლი — ჰარტლპული 0:1; კოლჩესტერი — ჩესტერფილდი 1:2; დონკასტერი — ბრედფორდი 2:2; ჯილინგემი — საუთენდი 1:2; ჰადერსფილდი — ბორნმუთი 2:2; დონსი — სუინდონი 3:1; ნოტინგემი — ტრანმერი 1:0; პორტ ვეილი — უოლსოლი 3:2; სკანთორპი — იოვილი 3:4; სუონსი — ბლეკპული 3:2

### მეორე ლიგა

#### XII ტური

ბარნეტი — ოქსფორდი 0:0; ბოსტონი — პიტერბრო 1:0; ბერი — ლინკოლნი 1:1; კარლაილი — როვერსი 1:3; ჩელტენემი — ტორკი 0:1; ლეიტონი — მენსფილდი 3:1; მაკლსფილდი — ნოტსი 0:0; ნორთჰემპტონი — დარლინგტონი 0:0; როჩდეილი — რაშდენი 2:1; შრიუსბერი — გრიმსბი 0:0; რექსემი — სტოკპორტი 3:0; უიკომბი — ჩესტერი 3:3

### კონფერენსლიგა

#### გადადებული მატჩი

ბარტონი — ალდერშოტი 1:2

# გმირი ბრედსლი

## შოტლანდია

#### პრემიერლიგა. IX ტური

**რეინჯერსი 5:1 დანფერმლაინი**

1:0 ბუფელი (14), 2:0 პრსო (37), 2:1 ჰანტი (53), 3:1 ნიეტო (70), 4:1 ლოვენკრანდსი (74), 5:1 მაკკორმაკი (85)

**ლივინგსტონი 0:5 სელტიკი**

0:1 მაკმანუსი (35), 0:2 მელოუნი (44), 0:3 ჟურავსკი (50), 0:4 სატონი (61), 0:5 ბიტი (72)

**ფოლკირკი 2:2 ჰართსი**

1:0 დაფი (26პ), 2:0 პრესლი (67ს.კ.), 2:1, 2:2 პრესლი (71, 90)

**ჰიბერნიანი 1:2 ინვერნესი**

0:1 პროქტორი (48), 0:2 ვაინესი (64), 1:2 ფლეტჩერი (81)

**აბერდინი 2:2 მოზერუელი**

0:1, 0:2 კლარკსონი (62, 68), 1:2, 2:2 მაკი (78პ, 84)

**დანდი იუნ. 0:0 კილმარნოკი**

**შოტლანდიის** ჩემპიონატის მორიგ ტურში ორივე გიგანტმა იმარჯვა, გლაზგოს „რეინჯერსმა“ და „სელტიკმა“. ბურთებიც ერთნაირად გაიტანეს — ხუთ-ხუთი. ეგ არის, „რეინჯერსმა“ ერთი გაუშვა.

ტრადიციულად ამ ჩემპიონატის მიმოხილვა ფაქტობრივად ორი გუნდის ამბებით შემოიფარგლებოდა და გამართლებულიც იყო. ახლა კი „ჰართსი“ გამოჩნდა, მაგრამ რადგანაც „რუსული საფუარით“ გაბერილი ეს მართლაც სიმპათიური გუნდი დღეს თამაშობს, მთელი ყურადღება ისევ მოსისხლე მტრებს, რეინჯერებსა და კელტებს დაეთმობა. მით უმეტეს, რომ ერთი მეხუთეზეა, მეორე კი — მეორეზე. მაშასადამე, ინტრიგაც მეტია.

კელტებმა გაყოყოჩებულ „ჰართს“ მიანიშნეს, პირველზე კი ხარ, მაგრამ ჩვენც ვუმატებთ და საცაა, დაგეწევითო. სტუმრებმა „ლივინგტონს“ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანეს და ეს მაშინ, როცა გორდონ სტრაჩანმა ჯონ ჰართსონი სკამზე დატოვა. კათოლიკებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და აშკარად გამოუვიდათ.

შონ კონერის ბიჭებმა კი, რომლებმაც ძალიან ცუდად დაიწყეს სეზონი, „აიბოქსზე“ „დანფერმდინი“ გააცამტვერეს.

და რა ქნა „ჰართსმა“? — ედინბურგელებმა პირველი ქულები დაკარგეს, მაგრამ ბრძოლის უნარი კიდევ ერთხელ გამოავლინეს და 10 კაცით დარჩენილებმა წაგებული მატჩი გადაარჩინეს.

შეხვედრის გმირად, ჰართსელთა კაპიტანი სტივენ პრესლი იქცა, რომელმაც ბურთი ჯერ საკუთარ კარში ჩაჭრა, ხოლო მერე მეტოქეს ორჯერ გაუტანა და გუნდს ქულა გადაურჩინა. შესაბამისად დედაქალაქელები კვლავ ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერებად რჩებიან.

**ზურაბ გოცირიძე**



„ჰართსის“ კაპიტანი სტივენ ბრედსლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 9 | 8 | 1 | 0 | 23:6 | 25 |
| სელტიკი | 9 | 7 | 1 | 1 | 24:9 | 22 |
| რეინჯერსი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:10 | 16 |
დომინიკ ბიჟოტას „სოშო" შინაურ „სტად ბონალს" გაუუცხოვდა. სოშოელებმა საკუთარ სტადიონზე ექვსიდან მეოთხე მატჩი წააგეს და ქვედა სამეულში ყურყუტებენ. ბიჟოტას გუნდი განსაკუთრებით შეტევაში მოიკოჭლებს, რაზეც ათ თამაშში ოთხი გატანილი გოლიც მეტყველებს. „სოშოს" ფორვარდები „ნანსისთანაც" ვერაფერს გახდნენ, რადგან მეარე ჯენარო ბრასილიანო ყოჩაღობდა, ერთხელ კი სტუმართა მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. მასპინძლები მატჩის ბოლოს დაიქანცნენ, რითაც ნანსელებმა ისარგებლეს და ორ წუთში წყვილი გოლი გაიტანეს. გასტონ კურბელომ რიშერის კარში კოხტად ჩააზრიალა ბურთი, ხოლო შეცვლაზე ახალშესულმა ელი კროუპმა მეორე მიაყოლა.

ბოლო ადგილზე „დაჭედებულ" „მეცს" კიდევ ერთი ლურსმანი „ბორდომ" დაუმატა. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფერნანდომ მცველთა ჩათვლემით ისარგებლა და ახლოდან გაიტანა. მეცლებს ამის მერე მეჰდი მუნირი გაუძევეს, კაცმეტ სტუმრებს კი კიდევ სამის გატანა შეეძლოთ. დენილსონმა ბურთი ძელს გაარტყა, ხოლო თითო მომენტი დარშეეილმა და ლასლანდმა ვერ გამოიყენეს.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „სენტ ეტიენმა" „ლე მანი" დაიბრიყვა და სამი უპასუხო გოლით გაისტუმრა. „მწვანეები" პირველი ტაიმის მიწურულს პერინმა ბრწყინვალე დარტყმით დააწინაურა — ბურთი უცნაურად გაფრინდა და სტუმართა მეკარე იოან პელე დააბნია. მეორე ნახევრის დაწყებიდან ათ წუთში ვინსენ ჰონომა სხვაობა ორამდე გაზარდა. ნაკუთხურალზე თავით გაიტანა, ბოლოს კი დავიდ ჰელებუიკმა იხეირა, რომელმაც პელე მესამედ შეაბრუნა კარში ბურთის გამოსატანად.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 10 | 7 | 3 | 0 | 15:6 | 24 |
| პსჟ | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 20 |
| ბორდო | 10 | 5 | 4 | 1 | 10:5 | 19 |
| სტ. ეტიენი | 10 | 4 | 4 | 2 | 10:5 | 16 |
| ოსერი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:15 | 16 |
| ლილი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:8 | 15 |
| ლე მანი | 10 | 4 | 3 | 3 | 10:7 | 15 |
| ლანსი | 9 | 3 | 5 | 1 | 14:6 | 14 |
| მარსელი | 10 | 4 | 2 | 4 | 11:12 | 14 |
| ტულუზი | 10 | 4 | 2 | 4 | 9:11 | 14 |
| მონაკო | 10 | 4 | 2 | 4 | 7:9 | 14 |
| ნანსი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:8 | 13 |
| ნიცა | 10 | 3 | 3 | 4 | 8:11 | 12 |
| ნანტი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:8 | 11 |
| აიაჩო | 9 | 2 | 5 | 2 | 7:7 | 11 |
| რენი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:22 | 11 |
| ტრუა | 10 | 2 | 4 | 4 | 9:11 | 10 |
| სოშო | 10 | 2 | 2 | 6 | 4:11 | 8 |
| სტრასბური | 10 | 0 | 6 | 4 | 5:10 | 6 |
| მეცი | 10 | 0 | 4 | 6 | 4:15 | 4 |

### II დივიზიონი. X ტური

ამიენი — კლერმონი 0:0; ბრესტი — რეიმსი 1:1; კაენი — ლორიანი 1:0; შატორუ — ისტრი 4:3; კრეტეი — ვალანსი 1:1; გრენობლი — დიჟონი 1:2; გენიონი — ლავალი 1:1; ლე ავრი — სეტე 1:0; მონპელიე — გენგამი 0:0

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. VII ტური

**ალკმაარი 3:2 ნაიმეგენი**

1:0 პერესი (20), 1:1 გროტი (25), 2:1 სეკტუი (49), 2:2 ნიდზიელანი (54), 3:2 შ. არველაძე (65)

ალკმაარი: ტიმერი, იალინსი, ოპდამი, დე ზეუვი (მისეგენსი 60), დე კლერი, რამზი, შაარსი, სეკტუი, ვან გალენი (ბუსკერმოლენი 46), პერესი (სტიენსონი 84), შ. არველაძე

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

**ჰერაკლესი 0:4 ტვენტე**

0:1 მაისტოროვიჩი (54), 0:2 ბაკიროღლუ (60), 0:3 ზომერი (83), 0:4 ნკუფო (90)

**გრონინგენი 2:0 ტილბურგი**

1:0 ლურინკე (42), 0:2 ლევჩენკო (45)

**უტრეხტი 3:1 ფეიენოორდი**

1:0 ნილისი (7), 1:1 კელერი (39ს.კ.), 2:1, 3:1 ნილისი (49, 51)

გაძევება: ტიენდალი (65, უტრეხტი)

**სპარტა 1:2 აიაქსი**

1:0 პოლაკი (52), 1:1, 1:2 დე იონგი (63, 77)

**დენ ჰააგი 2:1 ვალვაიკი**

1:0 დენ უდენი (15), 1:1 ვან დე ჰაარი (38), 2:1 სტროევე (57)

გაძევება: ვან დიმენი (42, ვალვაიკი)

**როდა 3:2 ვიტესი**

1:0 სენდენი (36), 2:0 სერჟიო (40), 2:1 იანსენი (49), 2:2 ბენსონი (58), 3:2 ოპერი (73)

გაძევება: ბოდნარი (85, როდა)

**როზენდალი 1:2 ბრედა**

0:1 ვონტალენი (13), 1:1 ვან ზვამი (20ს.კ.), 1:2 ვან მოიდონკე (65პ),

გაძევება: ებინჯე (78, როზენდალი)

**ჰერენვენი 2:3 ეინდჰოვენი**

1:0 ბოსველტი (15), 1:1, 1:2, 1:3 კონე (37, 60, 68), 2:3 ტარვაიერვე (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 7 | 6 | 0 | 1 | 25:7 | 18 |
| ფეიენოორდი | 7 | 6 | 0 | 1 | 19:7 | 18 |
| პსვ | 7 | 5 | 1 | 1 | 12:5 | 16 |
| ვალვაიკი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:8 | 15 |
| აიაქსი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:10 | 13 |
| ბრედა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:7 | 13 |
| უტრეხტი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| სპარტა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| ჰერაკლესი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:12 | 10 |
| გრონინგენი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:7 | 9 |
| დენ ჰააგი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| ტვენტე | 7 | 2 | 1 | 4 | 8:8 | 7 |
| ტილბურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| ჰერენვენი | 7 | 2 | 1 | 4 | 13:18 | 7 |
| ვიტესი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | 7 |
| როდა | 7 | 2 | 0 | 5 | 10:18 | 6 |
| ნაიმეგენი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| როზენდალი | 7 | 0 | 2 | 5 | 3:16 | 2 |

### მეორე დივიზიონი X ტური

აპელდორნი — ალმერე 5:2; კამბური — ჰაარლემი 4:0; ემენი — ზვოლე 0:2; ექსელსიორი — ვეენდამი 3:0; დენ ბოსხი — ეინდჰოვენი 5:3; სიტარდი — მაასტრიხტი 1:1; იგლსი — დორდრეხტი 2:1; ტელსტარი — ვოლენდამი 0:2; ვენლო — გრააფსხაპი 3:0

## ბელგია

### ჟუპილერლიგა. IX ტური

**შარლერუა 3:3 ბრიუგე**

1:0 კამუსი (17), 2:0 სიკუტი (24), 2:1 ლეკო (39), 3:1 შტერცელი (75), 3:2 პორტილიო (78), 3:3 ოლივეირა (83)

**ვარეგემი 2:1 რუზელარე**

1:0 დუპრე (53), 1:1 პიტერსი (71), 2:1 მატისი (87)

**გენტი 1:1 ლიერსი**

1:0 ვრანკენი (48), 1:1 იაკოვენკო (84)

**ანდერლეხტი 3:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 იესტეროვიჩი (70), 2:0 მ. მპენზა (77), 3:0 ბასეჯო (90)

**ლუვიე 0:3 ბრიუსელი**

0:1 კულეკი (9), 0:2, 0:3 კამარგო (47, 49)

**სტანდარდი 2:1 ლოკერენი**

1:0 ტჩიტე (30), 1:1 ზანზანი (54), 2:1 ტჩიტე (88)

**ვესტერლო 4:1 ბევერენი**

1:0 უტაკა (61), 1:1 დისა (63), 2:1 იანსენი (69), 3:1 უტაკა (86), 4:1 კოლიო (88)

**სერკლი 1:0 მუსკრონი**

1:0 დეკელვერი (63)

**ბეერსხოტი 2:2 რასინგი**

0:1 სოტეარსი (11), 1:1, 2:1 დოსუნმო (25, 65), 2:2 პიტერსი (76)

გაძევება: ცვეტანოვიჩი (51, ბეერსხოტი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 9 | 7 | 1 | 1 | 20:10 | 22 |
| ანდერლეხტი | 9 | 6 | 3 | 0 | 26:7 | 21 |
| ვესტერლო | 9 | 6 | 2 | 1 | 14:3 | 20 |
| ვარეგემი | 9 | 5 | 2 | 2 | 18:12 | 17 |
| გენტი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:10 | 15 |
| ბრიუგე | 9 | 4 | 3 | 2 | 11:9 | 15 |
| გენკი | 9 | 3 | 5 | 1 | 16:13 | 14 |
| ლოკერენი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:10 | 13 |
| შარლერუა | 9 | 2 | 6 | 1 | 10:8 | 12 |
| ბრიუსელი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:11 | 10 |
| ბევერენი | 9 | 3 | 1 | 5 | 11:13 | 10 |
| სენტ ტრუიდენი | 9 | 3 | 0 | 6 | 5:11 | 9 |
| რუზელარე | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | 8 |
| ლიერსი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:9 | 8 |
| სერკლი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | 7 |
| ბეერსხოტი | 9 | 1 | 3 | 5 | 9:17 | 6 |
| მუსკრონი | 9 | 2 | 0 | 7 | 6:16 | 6 |
| ლუვიე | 9 | 0 | 4 | 5 | 7:19 | 4 |

### მეორე დივიზიონი. VI ტური

დისელი — ვიგორი 5:2; ანტვერპენი — რონსი 0:0; ჰეუსდენი — სენტ ჟილი 0:0; ლომელი — ვირტონი 4:0; ვაასლანდი — მონსი 2:0; ეუპენი — ტუბიცე 2:2; კორტრაიკი — დაინცე 1:0; ოუდ ჰევერლი — გეელი 3:0; მეხელენი — ოსტენდე 0:2

## პორტუგალია

### სუპერლიგა VI ტური

ბელენენსეში — ამადორა 0:2; რიუ ავე — ბოავიშტა 1:1; აკადემიკა — ჟილ ვისენტე 2:0; ნასიონალი — პენაფიელი 2:0; სეტუბალი — ლეირია 2:0; მარიტიმუ — პორტუ 2:2.

*ფერეირა — სპორტინგი გუშინ გვიან დამთავრდა. ბენფიკა — გიმარაეში დღეს გაიმართება*

## რუსეთი

### XXV ტური

**შინიკი 1:3 ტორპედო**

1:0 შირკო (25), 1:1, 1:2 სემშოვი (32, 70), 1:3 ბუდილინი (83პ)

**როსტოვი 1:0 ალანია**

1:0 ბოჩკოვი (15)

როსტოვი: ჩიჩკინი, გუტიერესი, ოლეინიკოვი, ბორაკი, კრუშჩიჩი, ორლოვი, ბოჩკოვი, ასკოპიანცი (დანცევი 57), ოსინოვი, ბუზნიკინი (პერესი 87), აშვეთია (კალაშნიკოვი 62)

ალანია: რადიჩი, ოკორონკვო, აგაევი, ჯორჯევიჩი, ხიმენესი, გრუიჩი, ჟ. ბაზაევი, ტიაგუ, ა. ბაზაევი, გონიევი (დომბრაძე 46), პიმენოვი (დადუ 60)

**მოსკვა 0:0 ცსკა**

**რუბინი 0:0 ტომი**

*ქინქლაძემ ვერ გაიტანა პენალტი (79, რუბინი)*

**ამკარი 0:0 ტერეკი**

**დინამო 0:0 ლოკომოტივი**

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, სენნიკოვი, ევსეევი, გურენკო, ბასათიანი, სამედოვი (ხოხლოვი 36; ბიკეი 71), ლოსკოვი, ლიმა, იზმაილოვი, ბილიალეტდინოვი (კრუგლოვი 60), ლებედენკო

**სატურნი 0:0 ზენიტი**

**სპარტაკი 1:0 კრილია**

1:0 კოვაჩი (50)

# ნულების ტური

**წინა ტურში** „ლოკომოტივის" მძლეველი „ტორპედო" იმტაზე მოვიდა და იაროსლაველიდანაც სამი ქულა წაიღო. თან „შინიკსაც", ისევე როგორც „ლოკომოტივს" სამი გოლი გაუტანა. ტორპედოელთა კაპიტანმა იგორ სემშოვმა დუბლი მიითვალა და მიჯრით ცხრა მატჩში ექვსი გოლი მოუგროვდა.

მას შემდეგ, რაც „შინიკი" ოლეგ დოლმატოვმა ჩაიბარა, გუნდი ძნელად დასამარცხებელი გახდა — ბოლო ცხრა ტურში მხოლოდ ერთი წაგება გამოურია. „ტორპედოსთანაც" კარგად დაიწყო და შირკოს გოლით იგებდა, რომელიც ბოროდინთან პირისპირ აღმოჩნდა და გატანა არ გასჭირვებია. მასვე ცოტა ადრეც შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმც მეკარემ აჯობა.

სტუმრებმა მალევე გაათანაბრეს. სემშოვმა საჯარიმოს გარედან ცაციით ბურთი მარჯვენა მაღალ კუთხეში შეასრიალა. „ტორპედოს" კაპიტანმა მეორე ტაიმშიც იყოჩაღა — საფინოვის მოგერიებულს საგოლედ დაამატა, ხოლო თამაშის მიწურულს ლაიზანსის წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. მსაჯმა ბუდილინს ორჯერ შეასრულებინა დარტყმა, რადგან პირველი ცდისას მასპინძელი ფეხბურთელები სასტვენამდე შეეიედნენ საჯარიმოში, ბუდილანმა კი ორჯერვე გაიტანა.

ცსკა-მ ფრედ ითამაშა „მოსკოვთან" და დროებით, „ლოკომოტივის" მატჩის დაწყებამდე, პირველ ადგილზე გადასვლის შანსი ვერ გამოიყენა. არმიელების ბრაზიელ ლეგიონერ დანი კარვალიუს, რომელმაც უეფას თასზე „მიდტიულანდთან" დუბლი შეასრულა, „მოსკოვის" ფეხბურთელებმა 90 წუთის განმავლობაში ფეხებში ურტყეს. კარვალიუ დღეს გუნდში მთავარი კაცია და თამაშიც მასზეა აწყობილი ამიტომაც არ მოასვენეს მეტოქე მცველებმა. ცსკა-ს ორჯერ გაბრაზებულმა ვალერი გაზაევმა თქვა: „პირველ წრეში ბასკაკოვმა, ახლა კი ხოდირევმა აშკარად ჩვენს საწინააღმდეგოდ იმსაჯეს. ისინი თამაშს აფუჭებდნენ. ასეთი მიკერძოებული მსაჯობის შემდეგ ზოგიერთი ვაი-გუნდი უეფას თასზე გადის და მერე სამარცხვინოდ ვარდება ევროტურნირიდან. ჩემს ფეხბურთელებთან პრეტენზია არ მაქვს".

მოსკოვის „ლოკომოტივი" თანაქალაქელ „დინამოს" დაუზავდა და გაზაევის ცსკა-სთან ორქულიანი სხვაობა შაინარჩუნა. უეფას თასზე „ბრანთან" გადაღლილ „ლოკოს" შეტევის თავი არ ჰქონდა. პორტუგალიელებით გაჯერებულმა „დინამომ" უკეთ ითამაშა და მეტი საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ ლიდერს ვერ მოუგო.

„გუნდები შეხვდნენ და დამამული თამაში გამოვიდა — თქვა სტუმართა მწვრთნელმა ვლადიმირ ეშტრეკოვმა — ჩემპიონატის ბოლოს უმეტესად ასეთი მატჩები სჭარბობს".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 25 | 13 | 10 | 2 | 36:16 | 49 |
| ცსკა | 25 | 13 | 8 | 4 | 37:14 | 47 |
| ზენიტი | 25 | 12 | 9 | 4 | 40:19 | 45 |
| სპარტაკი | 25 | 13 | 6 | 6 | 40:23 | 45 |
| რუბინი | 25 | 11 | 9 | 5 | 34:24 | 42 |
| მოსკვა | 25 | 11 | 8 | 6 | 28:17 | 41 |
| ტორპედო | 25 | 9 | 9 | 7 | 30:26 | 36 |
| შინიკი | 25 | 8 | 10 | 7 | 20:22 | 34 |
| დინამო | 25 | 10 | 2 | 13 | 28:38 | 32 |
| ამკარი | 25 | 6 | 12 | 7 | 23:29 | 30 |
| სატურნი | 25 | 7 | 8 | 10 | 20:19 | 29 |
| ტომი | 25 | 5 | 10 | 10 | 18:28 | 25 |
| კრილია | 25 | 5 | 8 | 12 | 22:38 | 23 |
| როსტოვი | 25 | 5 | 7 | 13 | 16:32 | 22 |
| ალანია | 25 | 4 | 7 | 14 | 19:42 | 19 |
| ტერეკი | 25 | 4 | 5 | 16 | 16:40 | 17 |

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 1 | ქპრ-კრისტალ პალასი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 37 | ბოხუმი-მიუნხენი 1860 | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 513 | რავენა-სამბენედენტეზე | 2.50 | 2.70 | 2.90 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 514 | მალაგა ბ-ეიბარი | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 91 | ბასტია-სედანი | 1.90 | 2.90 | 3.90 | 1.14 | 1.27 | 1.66 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 111 | გრააფსხაპი-სიტარდი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:00 | 112 | დენ ბოსხი-აპელდორნი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:00 | 113 | დორდრეხტი-ტელსტარი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 22:00 | 114 | ეინდჰოვენი-ექსელსიორი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 22:00 | 115 | ვეენდამი-იგლსი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 22:00 | 116 | კაარლემი-ემენი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 22:00 | 117 | ზვოლე-ჰელმონდი | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 22:00 | 118 | მაასტრიხტი-კამბური | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 22:00 | 119 | ოსი-ალმერე | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 22:00 | 120 | ვოლენდამი-ვენლო | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:30 | 131 | ბენფიკა-გიმარაეში | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:30 | 132 | ბრაგა-ნავალი | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 515 | ატრომიტოსი-ქსანთი | 2.35 | 2.90 | 2.85 | 1.29 | 1.28 | 1.43 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 516 | ბანიკი-პრჟიბრამი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:40 | 517 | სლავია-ბოლესლავი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 150 | ბრანი-ვიკინგი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 159 | იურგორდენი-ჰალმსტადი | 1.55 | 3.60 | 5.10 | 1.08 | 1.18 | 2.11 |
| 21:00 | 160 | მალმიო-ლანდსკრონა | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| 21:00 | 161 | სუნდსვალი-ჰეკენი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 162 | ვესტეროსი-აიკ | 5.30 | 4.50 | 1.40 | 2.43 | 1.10 | 1.06 |
| 21:00 | 163 | გაის-ტრელებორგი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 172 | მიუპა-ტამპერე | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 175 | ბოჰემიანი-სტ.პატრიკსი | 1.65 | 3.10 | 4.80 | 1.07 | 1.22 | 1.88 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 392 | მორა-ტიმრე | 2.30 | 4.00 | 2.15 | 1.46 | 1.11 | 1.39 |
| 21:00 | 393 | ფერიესტადი-ლულეო | 1.35 | 4.60 | 5.00 | 1.04 | 1.06 | 2.39 |
| 21:00 | 394 | ლეკსანდი-ლინჩიოპინგი | 2.50 | 4.00 | 2.00 | 1.53 | 1.11 | 1.33 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 13:00 | 487 | სევერსტალი-აკ | 1.40 | 4.60 | 4.10 | 1.07 | 1.04 | 2.16 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### თურქეთი

**სუპერლიგა. VIII ტური**

გაზიანთეფი — გენჩლერი 1:1; სივასფორი — დენიზლი 1:0; კონია — ფენერბაჰჩე 2:4; მანისა — ერჯიესი 0:2; ბეშიქთაში — სამსუნი 3:2; ანკარაგიუჯიუ — რიზე 1:0; ქაისერი — ანკარა 2:1; მალათია — დიარბაქირი 1:2; გალათასარაი — ტრაბზონი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 8 | 7 | 1 | 0 | 22:8 | 22 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 6 | 2 | 0 | 20:9 | 20 |
| ერჯიესი | 8 | 4 | 4 | 0 | 10:5 | 16 |
| ქაისერი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:10 | 15 |
| სივასფორი | 8 | 4 | 3 | 1 | 7:5 | 15 |
| გაზიანთეფი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:11 | 12 |
| ბეშიქთაში | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| ტრაბზონი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | 11 |
| კონია | 8 | 2 | 4 | 2 | 11:9 | 10 |
| ანკარა | 8 | 2 | 4 | 2 | 10:9 | 10 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 2 | 3 | 3 | 9:9 | 9 |
| მანისა | 8 | 2 | 2 | 4 | 12:12 | 8 |
| გენჩლერი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:7 | 8 |
| დიარბაქირი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:16 | 8 |
| რიზე | 8 | 1 | 2 | 5 | 5:10 | 5 |
| სამსუნი | 8 | 1 | 2 | 5 | 14:20 | 5 |
| დენიზლი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:10 | 5 |
| მალათია | 8 | 0 | 3 | 5 | 6:18 | 3 |

### ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა. VIII ტური**

იაბლონეცი — ლიბერეცი 1:0; სლოვაცკო — ბრნო 1:1; ბლშანი — იჰლავა 2:2; სიგმა — ზლინი 0:0; პლზენი — მოსტი 2:1; ტეპლიცე — სპარტა 2:1. სლავია — ბოლესლავი და ბანიკი — პრჟიბრამი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:5 | 19 |
| ტეპლიცე | 8 | 6 | 1 | 1 | 13:7 | 19 |
| ბოლესლავი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:12 | 13 |
| სიგმა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:11 | 13 |
| იაბლონეცი | 8 | 4 | 0 | 4 | 14:13 | 12 |
| პრჟიბრამი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 | 11 |
| პლზენი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| იჰლავა | 8 | 3 | 2 | 3 | 9:11 | 11 |
| სპარტა | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | 10 |
| მოსტი | 8 | 3 | 0 | 5 | 12:11 | 9 |
| სლავია | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 9 |
| ბანიკი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 |
| სლოვაცკო | 8 | 2 | 2 | 4 | 9:11 | 8 |
| ზლინი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| ბლშანი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:16 | 8 |
| ბრნო | 8 | 0 | 4 | 4 | 8:12 | 4 |

### საბერძნეთი

**ეროვნული ლიგა. V ტური**

ლევადიაკოსი — პანიონიოსი 3:2; კალამატა — პანათინაიკოსი 2:4; აკრატიტოსი — იონიკოსი 0:0; ირაკლისი — კალამარია 0:1; პაოკ — ლარისა 2:2; აეკ — ოლიმპიაკოსი 1:3. ატრომიტოსი — ქსანთი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:1 | 15 |
| ქსანთი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| ატრომიტოსი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| აეკ | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| იონიკოსი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 7 |
| კალამარია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| პაოკ | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ლარისა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 6 |
| ლევადიაკოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ეგალეო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| აკრატიტოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ირაკლისი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| პანიონიოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:15 | 2 |
| კალითეა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ოფი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| კალამატა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |

### შვედეთი

**ალსვენსკა. XXIV ტური**

ასირისკა — გიოტებორგი 2:3; კალმარი — ჰამარბი 3:0; იორგრიტე — ელფსბორგი 4:2; ჰელსინგბორგი — გეფლე 2:1. იურგორდენი — ჰალმსტადი, მალმიო — ლანდსკრონა და სუნდსვალი — ჰეკენი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 23 | 14 | 4 | 5 | 46:24 | 46 |
| გიოტებორგი | 24 | 13 | 7 | 4 | 32:17 | 46 |
| კალმარი | 24 | 10 | 9 | 5 | 33:20 | 39 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 12 | 3 | 9 | 32:35 | 39 |
| მალმიო | 23 | 11 | 5 | 7 | 32:24 | 38 |
| ჰამარბი | 24 | 10 | 7 | 7 | 39:28 | 37 |
| იორგრიტე | 24 | 10 | 4 | 10 | 35:35 | 34 |
| ელფსბორგი | 24 | 9 | 7 | 8 | 32:35 | 34 |
| ჰეკენი | 23 | 10 | 2 | 11 | 27:25 | 32 |
| ჰალმსტადი | 23 | 8 | 5 | 10 | 32:30 | 29 |
| ლანდსკრონა | 23 | 7 | 6 | 10 | 23:35 | 27 |
| გეფლე | 24 | 7 | 4 | 13 | 22:32 | 25 |
| სუნდსვალი | 23 | 4 | 7 | 12 | 25:43 | 19 |
| ასირისკა | 24 | 4 | 2 | 18 | 17:44 | 14 |

### ნორვეგია

**ტიპელიგა. XXIII ტური**

ჰამ კამი — რუსენბორგი 0:3; ტრომსიო — სტარტი 3:1; ალესუნდი — ლილესტრიომი 1:0; ბოდიო გლიმტი — ფრედრიკსტადი 1:2; მოლდე — ოდ გრენლანდი 4:0; ვოლერენგა — ლინი 0:1. ბრანი — ვიკინგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 23 | 13 | 5 | 5 | 41:26 | 44 |
| ვოლერენგა | 23 | 13 | 5 | 5 | 38:23 | 44 |
| ლინი | 23 | 11 | 7 | 5 | 30:19 | 40 |
| ვიკინგი | 22 | 11 | 4 | 7 | 33:29 | 37 |
| ლილესტრიომი | 23 | 11 | 4 | 8 | 32:28 | 37 |
| ბრანი | 22 | 9 | 5 | 8 | 37:24 | 32 |
| ოდ გრენლანდი | 23 | 9 | 3 | 11 | 22:45 | 30 |
| ჰამ კამი | 23 | 8 | 4 | 11 | 27:33 | 28 |
| რუსენბორგი | 23 | 8 | 3 | 12 | 43:40 | 27 |
| ტრომსიო | 23 | 6 | 9 | 8 | 27:29 | 27 |
| მოლდე | 23 | 8 | 3 | 12 | 36:42 | 27 |
| ფრედრიკსტადი | 23 | 7 | 5 | 11 | 30:41 | 26 |
| ბოდიო გლიმტი | 23 | 6 | 5 | 12 | 28:35 | 23 |
| ალესუნდი | 23 | 5 | 8 | 10 | 24:34 | 23 |



ზაურ დოლაბერიძე

# ქუთაისმა კალათბურთი ბალახვანში დაიბრუნა

## გელა დარსაძე მწვრთნელად დაბრუნდა

**ქუთაისი** რომ დიდი საკალათბურთო ტრადიციების ქალაქია, ამაზე ზედმეტია საუბარი. იმერეთის მთავარქალაქში არაერთი მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი გამოზრდილა და სამწუხაროა, დღესდღეობით ქუთაისში კალათბურთი რომ სულს ღაფავს.

ქუთაისელებს სიდუხჭირის გამო გასულ ეროვნულ ჩემპიონატში გუნდი არ ჰყოლიათ, ახალგაზრდულ პირველობაზე კი საკმაოდ წარმატებულადაც გამოვიდნენ. იმ ახალგაზრდებს რამდენიმე გამოცდილი ქუთათური დაემატა და ქალაქის მერია-სპორტკომიტეტის დახმარებით იმერლები წლეულს კვლავ უმაღლესში ითამაშებენ. ამ ყველაფერს სათავეში უდგას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზაურ დოლაბერიძე, რომელსაც ერთი კვირის წინ 60 წელი შეუსრულდა და ამ იუბილესთვის უმაღლესი ლიგის საგზური კარგი საჩუქარი უნდა იყოს.

ერთი სიახლეც — კალათბურთს დაუბრუნდა საქართველოს ერთ-ერთი უნიჭიერესი გამთამაშებელი გელა დარსაძე, რომელიც ქუთაისის გუნდში ზაურ დოლაბერიძის თანაშემწე იქნება.

— უკვე გადაწყვეტილია, რომ უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ და თუ საოცრება არ მოხდა, არც დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირს უნდა გამოვაკლდეთ—გვითხრა დოლაბერიძემ— დღეს ქალაქის ხელმძღვანელობისგან საბოლოო პასუხს ველით ამის თაობაზე, თუმც არა მგონია, უარი გვითხრან. დუდუ დადიანის ტურნირი ხომ ეროვნული ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ძალიან გამოგვადგება.

**— ქალაქის ხელმძღვანელობა გაფინანსებთ?**

— დიახ, ქუთაისის მერია და სპორტკომიტეტი. სპონსორი არ გვყავს, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ვაჟა ქუთათელაძემ, კომპანია „ჯეოსელის" წარმომადგენელმა, დარბაზის მშენებლობაში ხელი წაგვაშველა.

**— დარბაზი რამდენად აკმაყოფილებს სტანდარტებს და იქ ხომ არ გეგმავთ სტუმარი გუნდების მასპინძლობას?**

— ჯერჯერობით ტაბლო არ გვაქვს, მთლიანობაში კი ნორმალური დარბაზია. ახალი რემონტი და სუფთა მოედანი კარგ განწყობაზე დააყენებს მოთამაშეებსაც და მაყურებლებსაც. „ქუთაისი" საშინაო მატჩებს სწორედ ბალახვანში, ამ დარბაზში უმასპინძლებს.

**— რა გაქანების გუნდი იქნება „ქუთაისი"?**

— დიდი ამბიცია არ გვექნება, რადგან გუნდის წევრების უმრავლესობა ძალიან ახალგაზრდაა — 16-18 წლის ბიჭები არიან. გვყავს რამდენიმე მოთამაშე, რომლებსაც ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება გააჩნიათ — გიორგი პირტახია, მიხეილ ცერცვაძე, ნოე შანიძე, ვიქტორ კოლუაშვილი და ლაშა მამისეიშვილი. ისე, მინდა აღვნიშნო, რომ გუნდის 13-ივე წევრი ჩემი გამოზრდილია, ახლა კი მათ წვრთნაში გელა დარსაძეც დამეხმარება. გელა ქუთაისელია, აქ სახლ-კარი აქვს და ჩვენთან სპორტსკოლაში მუშაობს. მე ახლახან 60 წელი შემისრულდა, საცაა პენსიაში გავალ და მთელ სამწვრთნელო საქმეებს ალბათ გელა დარსაძე გადაიბარებს. მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და კარგი მწვრთნელიც იქნება.

**ირაკლი პირტაია**



# იმედგაცრუება ბერძნულ-რომაულად

## ქართული შეიძლება

## თბილისში ხელცარიელი ბრუნდება



ბეგი დარჩიას გუნდი უმედლოდ დაურჩა

**თავისუფალი სტილის** მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან ორ დღეში ბუდაპეშტის ხალიჩაზე ბერძნულ-რომაული სტილის ფალავნები გავიდნენ. ბეგი დარჩიას გუნდი უნგრეთში მსოფლიოს ჩემპიონის რანგში ჩავიდა და, ცხადია, კვლავ ფავორიტებში მოიხსენიებოდა, მაგრამ...

სამდღიანი ჩემპიონატი გუშინ დამთავრდა. პირველი უმედლოდ ირაკლი ჭოჭუა (55 კგ) დარჩა. ეს პარასკევს იყო და ყველაზე მსუბუქი ქართველი მოჭიდავის ნაჭიდავებს აღარ მივუბრუნდებით.

სამწუხაროდ, დიდად გასაშუქებელი არც შაბათ-კვირის შეხვედრები გამოდგა, საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონატზე ერთი ბრინჯაოს მოპოვებაც კი ვერ შეძლო. ჩვენც ქართველი ბერძენ-რომაელების უნგრულ გამოსვლას წონების მიხედვით მივყვეთ.

60 კილოგრამში დავით ბედინაძემ ლიბანელი ჰაითამ ჩამასის ძლევით დაიწყო, მაგრამ მეორე წრეში ირანელ ალი აშკანთან ველარას გახდა. დავითის ბედად ირანელმა მერეც წარმატებით განაგრძო ჭიდაობა და ბრინჯაოს შანსი გაჩნდა, თუმც ამ გზაზე ბედინაძეს სომეხი ვაჰან ჯუჰარიანი გადაეღობა.

ორი გამარჯვებითა და ორი მარცხით დაასრულა პირველობა მუხრან მაჭუტაძემ (66 კგ). პირველ წრეში მოლდოველი გაივანის ძლევის შემდეგ აზერბაიჯანელ რაჯაბოვს ვერაფერი მოუხერხა, რეპეშაჟში კი ბრინჯაოს იმედი კორეელმა მინ-ჩოიმ ჩაგვიკლა. იქამდე მუხრანმა იტალიელი კორიგას მოგება მოასწრო...

2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მანუჩარ კვირკველიამ ამჯერად ერთი წონით მაღლა — 74 კილოგრამში მოსინჯა ძალა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მე-10 ადგილს დასჯერდა. ბელარუსი კიკინოვის წმინდად დამარცხების შემდეგ მანუჩარმა თურქ ალტალთან წააგო და რახან ველარც თურქმა იყოჩაღა, ხალიჩაზე მეტჯერ გასვლამ აღარ მოუწია.

მხოლოდ ერთი ბრძოლა მოიგო ასევე წონამომატებულმა ბადრი ხასაიამ. მან ფრანგი ნოუმონი ჩამოიცილა, მერე კი იაპონელ მაცუმოტოსთან წააგო.

პირველივე შეხვედრები წააგეს და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსიც აღარ მისცემიათ მუხრან ვახტანგაძესა (96 კგ) და მირიან გიორგაძეს (120 კგ). ცნობისთვის, მუხრანიც უჩვეულო წონაში გამოდიოდა. 84 კილოგრამში მსოფლიოს ჩემპიონმა 96-ში აწევა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორის რამაზ ნოზაძის ბუდაპეშტამდე გამოჯანმრთელება გამოირიცხა. ვახტანგაძეს ამგვარი დებიუტი ირანელმა რეზა ზეიდვადმა გააუფერულა.

მირიან გიორგაძეს ლიტველმა მინდაუგას მიჟგაიტისმა აჯობა. პირველი და უკანასკნელი მედლის მოპოვების ბოლო იმედი კი მას შემდეგ გადაგვეწურა, რაც ეს ლიტველი უნგრელმა მიხალი ბარდოშმა წამოაქცია.

**ოთარ გალლაძელიძე**



# ფიდიპიდეს ნაკვალევზე

## საბერძნეთის სუპერმარათონი



მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული მარათონი — 246 კილომეტრზე რბენა გერმანელმა ლუკას იენსმა მოიგო.
მარათონი ათენიდან სპარტამდე ჩატარდა, რომელიც ლეგენდარულმა ბერძენმა მალემსრბოლმა ფიდიპიდემ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490 წელს გაირბინა.

**ჰეროდოტეს** „ისტორიის" თანახმად, ბერძენ-სპარსელთა ომის დროს ათენიდან სპარტაში ელინი ფიდიპიდე აფრინეს, რათა მას დამხმარე რაზმის საჭიროების ამბავი ჩაეტანა.

ჰეროდოტე წერს, რომ ფიდიპიდემ სპარტამდე 36 საათზე ნაკლებ დროში გადაირბინაო.

ამ გარბენის თანამედროვე ვარიანტი 1982 წელს ბრიტანელმა სამხედრო მოსამსახურემ ჯონ ფოლდენმა აალორძინა.

ტრასის ყველაზე რთულ მონაკვეთზე მორბენლებს უწევთ მთაზე მკვეთრი სიმაღლის აღება, მერე კი დაშვება.

„აქ უკვე რბენაზე აღარც ფიქრობ. შენ უბრალოდ მიდიხარ ან მიხოხავ ზემოთ", — ამბობს წლევანდელი რბენის ერთ-ერთი მონაწილე, 50 წლის გერმანელი მიხაელ ბრანდტი.

ბრანდტისთვის ეს უკვე მეექვსე ამგვარი მარათონი იყო. ამასთან, მან სამჯერ შესძლო ფინიშამდე მისვლა, გამარჯვება კი, როგორც ვთქვით, მისმა თანამემამულე ლუკას იენსმა მოიპოვა, რომელმაც დისტანცია 24 საათში, 20 წუთსა და 39 წამში დაფარა. ამგვარად, მან ზედიზედ მეორედ დაიდგა გამარჯვებულის გვირგვინი.

ფინიშთან მეორე იყო ფრანგი ჟან ჟაკ მორო, რომელიც გამარჯვებულს 43 წუთით ჩამორჩა.

მესამე ადგილი კი დაიკავა შარშანწინდელმა ჩემპიონმა, ავსტრიელმა მარკუს ტილმანმა.

246 კილომეტრის დამფარავნი, ტრადიციის თანახმად, სპარტელთა მეფის ლეონიდის ქანდაკებას ხელით ეხებიან. ფინიშთან მისულ თითოეულ სპორტსმენს გამარჯვებულთა მსგავსად ზეთისხილის რტოებისგან დაწნული გვირგვინით ამკობენ.

ამ ურთულეს მარათონში რეკორდი ეკუთვნის ბერძენ მორბენალს იანის კუროს, რომელმაც 1986 წელს ათენიდან სპარტაში 20 საათსა და 25 წუთში ჩააღწია.

**ავთანდილ ტყვიშელი**



ანა ტიმოტიჩი

## ბათუმის ქალთა ღია პირველობა
## საპრიზო 50 000 $

# აჭარაში პირველმა იპირველა
## იაკიმოვამ ტიმოტიჩს
## მეორე ფინალი ჩაუშხარა

**ნახევარფინალი**

**ანასტასია იაკიმოვა** (1, ბელარუსი) — ვასილისა ბარდინა (7, რუსეთი) 6:0 6:3; **ანა ტიმოტიჩი** (სერბეთი) — ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა) 6:4 6:4

**ფინალი**

**იაკიმოვა** — ტიმოტიჩი 6:4 6:1

**50 ათასი** დოლარის საპრიზო ფონდიანი ბათუმის ღია პირველობა ბელარუსი ანასტასია იაკიმოვას ჩემპიონობით დასრულდა. პირველ ნომრად განთესილი ეს ჩია გოგო თავიდანვე ისე მარჯვედ და თავდაჯერებულად იქნევდა ჩოგანს, მისი გამჩერებელი ნაღდად არავინ ჩანდა. ფინალამდე ოთხი მეტოქე ისე ჩამოიცილა, ჯამში მხოლოდ ერთი სეტი დათმო.

ნასტიასა და ჩეხი სანდრა ზაჰლავოვას მეოთხედფინალურ ბრძოლაზე შაბათის ნომერში გიამბეთ. იმავ დღეს ბელარუსმა რუს ვასილისა ბარდინას აწყვლინა თავბედი — 6:0 6:3, ფინალში კი სერბ ანა ტიმოტიჩს გადაეყარა.

მაკა ჩახნაშვილის ორგზის მძლეველი ტიმოტიჩის ფინალში გასვლას ბევრი არ ელოდა. განთესილიც არ ყოფილა, თუმც სერიოზული განაცხადი ჯერ კიდევ მერვედფინალში გააკეთა, როცა მეოთხე ნომერ ძეჰალევიჩს დააზრევინა ჩოგანი.

იაკიმოვასგან განსხვავებით, ტიმოტიჩს ფინალამდე მოწინააღმდეგეთათვის სეტიც არ დაეთმო. ყველაზე მეტად ნახევარფინალში გაუჭირდა უკრაინელ ოქსანა ლიუბცოვასთან, მაგრამ მანამდე რამდენიმე სენსაციის ავტორი მეტოქე მაინც გატეხა.

ფინალში ანას გამარჯვების მცირე შანსიც აღარ მისცემია. ერთი კვირის წინანდელი „ქართუს თასის" ფინალის მსგავსად, ამჯერადაც აშკარად დაიჩაგრა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ანასტასია იაკიმოვა

# კიმ კლაისტერსის ერთი ამოსუნთქვა

**WTA**

ლუქსემბურგი
მაგარსაფარი
საპრიზო ფონდი
585 000 $

**ნახევარფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (ბელგია, 1) — ნატალი დეში (საფრანგეთი, 4) 6:3; 6:1
**ანა-ლენა გრონეფილდი** (გერმანია) — დინარა საფინა (რუსეთი, 7) — 6:4; 5:7; 6:4

**ფინალი**

**კიმ კლაისტერსი** (ბელგია, 1) — ანა-ლენა გრონეფილდი (გერმანია) — 6:2; 6:4

**ლუქსემბურგში** გუშინ გასრულებული WTA-ს მორიგი ტურნირი ბელგიელი კიმ კლაისტერსის გამარჯვებით დაგვირგვინდა. მან სრულიად გაამართლა ფავორიტის სტატუსი და მთელი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით გაიარა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ლუქსემბურგში კლაისტერსი ყოველთვის მშვენივრად ასპარეზობს; მას ეს ტურნირი აქამდე ოთხჯერ — 1999, 2001, 2002 და 2003 წლებში მოიგო, ხოლო იამაშების სტატისტიკა მართლაც შთამბეჭდავია — 26 მოგება და ერთი დამარცხება

კლაისტერსმა ტურნირზე დიდებული შთაბეჭდილება დატოვა — მას აქ ერთი სეტიც კი არ წაუგია. ბელგიელმა ნახევარფინალში იოლად დაამარცხა ფრანგი დეში და ამ უკანასკნელს მხოლოდ 4 გეიმი აალებინა. მიუხედავად ამისა, კლაისტერსი მაინც თვითკრიტიკული იყო და მატჩის შემდეგ ისიც კი თქვა, ჩემი საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეო.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელი ანა-ლენა გრონეფილდი და რუსი დინარა საფინა. მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა და ჩოგბურთელებს გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის ჩატარება მოუხდათ. საბოლოოდ მაინც გერმანელმა იმარჯვა. გრონეფილდისთვის ეს ბოლო ორი კვირის განმავლობაში უკვე მეორე ფინალი იყო.

უშუალოდ გუშინდელმა ფინალმა კი კლაისტერსის უდავო უპირატესობით ჩაიარა. მან კვლავ ორ სეტში იყოჩაღა და ლუქსემბურგის ტურნირის ხუთგზის გამარჯვებული გახდა. ბოლო სამი თვის განმავლობაში ეს ბელგიელის მიერ მოგებული მეხუთე ტურნირია.

ამ გამარჯვებით კლაისტერსი საერთო ჩათვლის სათავეში მოექცა და გადაასწრო რუს მარია შარაპოვას, რომელიც ჯერჯერობით ტრავმის გამო ისვენებს.

**ძახა ლომაშვილი**




კიმ კლაისტერსი

# ფედერერი მუსტერის რეკორდს უკაკუნებს



როჯერ ფედერერი

**ATP**

ბანგკოკი. ტაილანდი
მაგარსაფარი
საპრიზო: 550 000 $

**ნახევარფინალი**

**ენდრიუ მიურეი** (ბრიტანეთი) — პარადორნ შრიჩაპანი (ტაილანდი, 7) — 6:7; 7:5; 6:2
**როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, 1) — იარკო ნიემინენი (ფინეთი, 6) — 6:3; 6:4

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, 1) — ენდრიუ მიურეი (ბრიტანეთი) — 6:3; 7:5

**როჯერ** ფედერერმა შარშანდელი მიღწევა გაიმეორა და ტაილანდის ღია პირველობა წლეულსაც მოიგო. შვეიცარელი ტურნირის დაწყებამდეც ფავორიტი იყო, მაგრამ მაინც ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ასე იოლად გაუსწორდებოდა თავის ყველა მეტოქეს — ფედერერმა ტურნირის განმავლობაში ერთი სეტიც არ დათმო, მეტიც, საქმე ერთხელაც არ მიუყვანია ტაი-ბრეიკამდე.

ასე მოხდა შაბათის ჩატარებულ ნახევარფინალურ მატჩშიც, რომელშიც ფედერერმა ორ სეტში დაამარცხა ფინელი ნიემინენი და ამისთვის მხოლოდ 57 წუთი დასჭირდა.

თუ ფედერერისგან ასეთი თამაში არავის გაჰკვირვებია, თინეიჯერ ბრიტანელ ჩოგბურთელ ენდრიუ მიურეის ასპარეზობა სასიამოვნო მოულოდნელობაც იქცა. მან ნახევარფინალამდე ტურნირს გამოთიშა ორი განთესილი მოთამაშე — შვედი სოდერლინგი და ამერიკელი ჯინეპრი, ნახევარფინალში კი მასპინძელი პარადონ შრიჩაპანი დაამარცხა. არადა, ამ უკანასკნელმა თამაში მშვენივრად დაიწყო და პირველი სეტი მოიგო კიდეც, მეორე სეტის მიმდინარეობისას კი ახალგაზრდა ბრიტანელმა მარჯვენა ხელის მტევანი დაიშავა და იძულებული გახდა, სამედიცინო ტაიმაუტიც აეღო. ეტყობა, ამან მოადუნა შრიჩაპანის ყურადღება, რამაც მის თამაშს სტაბილურობა მოაკლო. ეს კარგად აისახა მეორე სეტის მეთორმეტე გეიმის დროს, როცა შრიჩაპანის რამდენიმე უხეში შეცდომის გამო მიურეიმ შეძლო ბრეიკის გაკეთება და მეორე სეტის მოგება.

მესამე სეტმა მთლიანად ბრიტანელის უპირატესობით ჩაიარა და მან საკმაოდ იოლად შეძლო კიდეც მისი მოგება — 6:2.

რაც შეეხება უშუალოდ ფინალს, იგი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და საათსა და 26 წუთს გასტანა. პირველ სეტში ფედერარი თავიდანვე დაწინაურდა (3:0) და, ბრიტანელის მრავალი მცდელობის მიუხედავად, გამარჯვებასაც მიაღწია. იგივე სცენარით დაიწყო მეორე სეტიც — შვეიცარიელმა მეტოქის პირველივე მოწოდება აიღო, თუმცა მიურეიმ 3:2-ზე შეძლო საპასუხო ბრეიკის გაკეთება და ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ მეტოქეები ინარჩუნებდნენ თავიანთ მოწოდებას, სანამ ფედერერმა არ მოახერხა ბრეიკის გაკეთება და მატჩიც მოიგო.

ფედერერისთვის ეს წლეულს მოგებული მე-11 ტურნირია, დიდებულია მისი წლევანდელი სტატისტიკაც — 77 მოგება და 3 წაგება. შვეიცარიელმა ამ გამარჯვებით ზედიზედ 31 მატჩი მოიგო და მას მშვენიერი შანსი აქვს, რომ გააუმჯობესოს ავსტრიელი ტომას მუსტერის მიერ 1995 წელს დამყარებული რეკორდი — 35 მოგება.

**ძახა ლომაშვილი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი
## 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

# ბულგარელმა ინგლისელი ინგლისურად დააშამათა

**III ტური**

| | | |
|---|---|---|
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 1:0 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |
| პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |

**IV ტური**

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 1:0 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0:1 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |



ტოპალოვმა 38-ე სვლაზე მოიგო

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 3,5 ქულა |
| 2 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 3,0 |
| 3 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2,5 |
| 4 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 2,0 |
| 5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1,5 |
| 6 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 1,5 |
| 7 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1,0 |
| 8 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1,0 |

**ფიდეს** ჩემპიონმა, უზბეკმა რუსტამ კასიმჯანოვმა გათამაშების მთავარ ფავორიტ ინდოელ ვიშვანათან ანანდს მოუგო და ცხრილის თავში ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი წამოსკუპდა.

საქმე ისაა, რომ მესამე ტურის შემდეგ ცხრილის სათავეში ანანდი და ტოპალოვი იყვნენ მოკალათებულნი, თუმც მეოთხეში მხოლოდ ბულგარელმა იმარჯვა და ერთპიროვნული ლიდერიც შეიქნა.

ტოპალოვმა ინგლისელ მაიკლ ადამსს მოუგო და ინგლისური პარტია ეთამაშა. მეტოქეებმა პირველივე სვლაზე მხედრები გამოიყვანეს წინ, გვერდით პაიკები ამოუყენეს და ფლანგების გაძლიერებას შეუდგნენ. ორივემ ლაზიერის მხარეს გადაიტანა ყურადღება. ბულგარელმა დაფაზე მანევრირება დაიწყო, მძიმე ძალები მარცხნივ გადაისროლა და 21-ე სვლაზე a ვერტიკალზე ლაზიერ-ეტლის დუეტი დასვა. ადამსი ბულგარელის შეკავებას შეუდგა, თუმც მძიმე თეთრ ფიგურებს მალე კუები მიეშველნენ და ინგლისელი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვითარების განსამუხტად ალბიონელი საპასუხო იერიშს შეუდგა, თავისი ეტლ-ლაზიერი დაქოქა და 32-ე სვლაზე თეთრ ხელმწიფეს მიუხტა. მძიმე მდგომარეობაში ახლა ბულგარელი აღმოჩნდა, მაგრამ არ დაბნეულა, მტერს ვაჟკაცურად დაუხვდა და ექვს სვლაში გამარჯვებაც მოიპოვა.




ვესელინ ტოპალოვი და მაიკლ ადამსი

მსუყე ქულა დაკარგა ანანდმა. კასიმჯანოვთან შეხვედრაში ინდუსმა სიცილიური დაცვა აირჩია და, როგორც სჩვევია, თავიდანვე იერიშებს შედუგა. კასიმჯანოვმა შეტევას შეტევითვე უპასუხა, მე-17 სვლაზე როქი გააკეთა და ძალები შავი ხელმწიფისკენ მიმართა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ინდოელმა გაცვლები დაიწყო, თუმც არაფერი გამოუვიდა და 38-ე სვლაზე ფარ-ხმალი დაყარა.

**ლაშა ბეგეჩკორი**






AFP ფოტო

# სებასტიენ ლოების ბედნიერი მეცამეტე

**მეცამეტე,** იაპონურმა ეტაპმა უდიდესი სიხარული მოუტანა ფრანგ მერალე სებასტიენ ლოებს და მის მონაკოელ თანამძღოლ დანიელ ელენას. ამომავალი მზის ქვეყნის ჩრდილოეთით, კუნძულ ჰოკაიდოს ვიწრო, მიწიან გზებზე მართალია, სებს არ გაუმარჯვია, მაგრამ მაინც მიაღწია მიზანს და საჩემპიონო ტიტული ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

მძღოლ-თანამძღოლები იაპონიაში შავი სამკლავურებით გამოვიდნენ და ამგვარად მიაგეს პატივი წინა, ბრიტანულ ეტაპზე დაღუპული კოლეგის, „პეჟოს" ინგლისელ შტურმან მაიკლ პარკის ხსოვნას.

ბუნებრივია, ამჯერად არ უჯირითია მაიკლის ესტონელ პილოტ მარკო მარტინს, რომლის ადგილიც ფრანგული ბოლიდის საჭესთან შვედმა დანიელ კარლსონმა დაიკავა.

თავიდანვე ნორვეგიელი ექსჩემპიონი პეტერ სოლბერგი დაწინაურდა, პირველ ორ დღეს ოციდან შვიდ ჩქაროსნულ უბანზე ყველას აჯობა და უზარმაზარი, წუთი და ათწამიანი სხვაობით ჩამოიტოვა ფრანგი ჩემპიონი. ისე, ლოებს არც მოუკლავს თავი დაფეთებული ჯირითით, რადგან სოლბერგ-გრონჰოლმის უკან მესამე პოზიციაც გაუნაღდებდა პირველობას სეზონის ფინიშამდე სამი რბოლით ადრე. მისი ამხელა ჩამორჩენა კი შაბათს წვიმისგან დამბალ გზებზე „მიშლენის" საბურავების არასწორად შერჩევამ გამოიწვია, სოლბერგისა და გრონჰოლმის „პირელიანი" მანქანები კი უნაკლოდ დაქროდნენ.

„ჰოლივუდ" პეტერს იაპონიაში ზედიზედ მეორე გამარჯვება პრაქტიკულად ჯიბეში ედო, მაგრამ ფინიშამდე 30 კილომეტრიღა რჩებოდა, როცა ავარია შეემთხვა, ბრძოლას გამოეთიშა და მარკუს გრონჰოლმს სენსაციური მოგება ჩაუვარდა ხელში. მოულოდნელი საჩუქრით მარკუსმა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი დაიბრუნა და ვიცეჩემპიონობის რეალური შანსიც გაუჩნდა.

უკვე ორგზის ტრიუმფატორი, რალის ისტორიაში მეორე ფრანგი ჩემპიონი ლოები 31 წლისაა. ეს მისი მეხუთე სრული სეზონია. წლევანდელს გამორჩეულად წარმატებით ჯირითობს — ცამეტიდან რვა ქვეყნის დიდი პრიზი მოიგო და კიდევ სამჯერ შედგა პოდიუმზე იგი მხოლოდ ერთხელ, შვედეთის რალიში დარჩა უქულოდ.

**გია ახალაძე**

## WRC World Rally Championship — მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
## XIII ეტაპი. იაპონია. 350,2 კმ

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3სთ; 25.32,0 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 1,22,1 |
| 3 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 2.40,0 |
| 4 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, სიტროენი) | 2.59,4 |
| 5 | ჰარი როვანპერა (ფინეთი, მიცუბისი) | 3.59,8 |
| 6 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი) | 4.32,3 |
| 7 | რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი) | 5.32,0 |
| 8 | დენის კარლსონი (შვედეთი, პეჟო) | 6.39,1 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 107 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 71; 3 პ. სოლბერგი — მილსი 65; 4 მარტინი — პარკი (პეჟო) 53; 5 გარდმაისტერი — ჰონკანენი 50; 6 როვანპერა — პიეტილაინენი 31; 7 დიუვალი — მილსი 29; 8 კრესტა — მოჟნი 18; 9 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 16; 10 საინსი — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 11

**კონსტრუქტორთა თასი**

სიტროენი 150 ქულა, პეჟო 128, ფორდი 82, სუბარუ 79, მიცუბისი 58, შკოდა 12



# მძლეოსნის შუბი, ფეხბურთელის ზურგში

**შვედეთის** ქალაქ კალმარში, როცა მძლეოსნები ვარჯიშს ამთავრებდნენ, ხოლო ადგილობრივ ფეხბურთელა კლუბ „კალმარ აიტის" გუნდის წევრები მოთელვაზე გამოდიოდნენ, შეუთანხმებლობის გამო ლამის ერთი სპორტსმენი დაიყუპა. მძლეოსნის ნატყორცნი შუბი პირდაპირ ფეხბურთელს ზურგში რამდენიმე სანტიმეტრზე ჩაერჭო, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა.

— ახლა ფეხბურთელი თავს არცთუ ისე ცუდად გრძნობს — თქვა გუნდის წარმომადგენელმა ულფ კარლსონმა.



## მსოფლიოს ჩემპიონატი. XIV ეტაპი

### ყატარის დიდი პრიზი. დოჰა — 5380 მ

**მოტო გრან პრი — 118,4 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) | 43 წთ; 33,8 |
| 2 | მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) | ჩამორჩა 1,7 |
| 3 | ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) | 5,6 |

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 306 ქულა; 2 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 159; 3 მელანდრი 157; 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 152; 5 ჰეიდენი 150

**250 სმ³ — 107,6 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) | 41 წთ; 22,6 |
| 2 | ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) | ჩამორჩა 1,6 |
| 3 | ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) | 2,6 |

**საერთო ჩათვლა**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 239 ქულა; 2 სტოუნერი 213; 3 დოვიზიოსო 160; 4 ჰიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) 144; 5 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) 132

**125 სმ³ — 96,8 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1 | გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) | 39 წთ; 23,2 |
| 2 | მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) | ჩამორჩა 0,02 |
| 3 | მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) | 9,6 |

**საერთო ჩათვლა**

1 კალიო 201; 2 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) 199; 3 ტალმაში 156; 4 სიმონჩელი 140; 5 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 134

# მაინც რუსი

ტოკიოს საერთაშორისო შეჯიბრი ფიგურულ სრიალში რუსმა მსოფლიოს ჩემპიონმა ირინა სლუცკაიამ მოიგო. მეორე-მესამე ადგილზე მასპინძელ შიმუკა არაკავა (მარცხნივ) და მიკი ანდო გავიდნენ.



AFP ტოკიოდან



AFP რომიდან

# სტელები ანუ ვარსკვლავები

ეს ფოტოები რომშია გადაღებული. ცნობილი იტალიელი მოცეკვავე ანჯელა პანიკო დიად დიეგო მარადონას უმშვენებს სცენას. სატელევიზიო შოუს, სადაც ამბავი მოხდა, ჰქვია „ბალანდო კონ ლე სტელე“. ისე კი, დაგვეთანხმებით, მსოფლიო საშინელი ტემპით ვითარდება: შეხეთ მარადონას, რა მსუქანი იყო და რა ტანწერწეტაა... რა ხერხსა და მეთოდს არ იგონებენ ადამიანები.



AFP რომიდან

# სიცილიის წყლებში

სიცილიის წყლებში მიმდინარეობს ლუის ვუდონის თასის მერვე ეტაპი, იმისდაკვალად კი, ცხადია, ამერიკის თასისთვის შეჯიბრი. შვეულმფრენი კი უსაფრთხოებას აკონტროლებს.



AFP სიცილიიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიჭერიკი, ვაკა ჩუკიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, თიარ ძაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გიზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge